

**მარიამ ღამბარაშვილი**

**თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები და  
თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები**

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
თბილისი, 0178, საქართველო  
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, მარიამ ღამბარაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: მარიამ ღამბარაშვილი

თარიღი : 20.06.2021

## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

### იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მარიამ ლამბარაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები და თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნუნუ კვანტალიანი

თარიღი : 27.06.2021

## რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომის თემა არის „თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები და თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები.“ ნაშრომში განხილული იქნება მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალების-თავდებობის არსი, მისი მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები, თავდებობის ხელშეკრულების ფორმა და ნაშრომის ძირითადი ასპექტები-თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის დადგენილი წინაპირობები და თავდების პასუხისმგებლობის მოცულობა. ასევე განხილული იქნება პრაქტიკულ-სამართლებრივი ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა.

თავდებობა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას, აქედან გამომდინარე, დღესდღეობით საკმაოდ აქტიურად გამოიყენება საკრედიტო ურთიერთობებში.

წარმოდგენილ ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული თავდებობის ცნება, სახეები, თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალია თავდებობის ხელშეკრულებაში. ასევე წარმოდგენილი იქნება ის პირობები, რომლებიც აუცილებელია თავდებობის ნამდვილობისთვის.

კვლევა მოიცავს შესავალს, ათ თავს, სადაც განხილული იქნება თავდებობის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ასპექტები, დასკვნას და ბიბლიოგრაფიას. I თავში განმარტებულია თავდებობის ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება. II თავი მოიცავს თავდებობის სახეებს: თავდებობას სუბსიდიარული და სოლიდარული პასუხისმგებლობით. III თავი ეხება ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობებს და დეტალურად განხილულია ყველა ის საფუძველი, რაც თავდებობის ხელშეკრულებას ნამდვილად აქცევს. IV თავში მოცემულია თავდებობის ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარეთა უფლებები და მოვალეობები. V თავში განხილულია თავდებობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა-თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები, აქვე იქნება წარმოჩენილი, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ფარგლები. VI თავი მოიცავს თავდების უფლებებს და შესაგებლებს კრედიტორის მიმართ. VII თავში წარმოდგენილია თავდებობის გამიჯვნა მსგავსი ინსტიტუტებისგან, VIII თავში კი წარმოდგენილია თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი უცხო ქვეყნების მაგალითზე. IX თავი მოიცავს თავდებობისგან გათავისუფლების საფუძვლებს, ხოლო X თავში წარმოდგენილია თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება თავდებობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სხვა ქვეყნების მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან მიმართებით და ასევე თავდებობის შედარება მომიჯნავე ინსტიტუტებთან.

## Abstract

The theme of the present work is “Prerequisites for the validity of the suretyship agreement and the scope of the surety’s liability.” I will also discuss surety’s regulatory legal norms, the form of the agreement and the main aspects of surety’s liability and prerequisites of the agreement. Practical-legal aspects, case law will also be discussed.

The suretyship is one of the most effective ways of securing demand, therefore, it is quite actively used in credit relations nowadays.

The presented theme will discuss in detail the concept of suretyship, the scope of liability, which is one of the most important detail in agreement. The necessary conditions for real agreement will also be presented.

The research includes an introduction, ten chapters, which will discuss important aspects of the surety institution, conclusion and bibliography. Chapter I explains the concept of suretyship and it’s legal nature. Chapter II includes the types of suretyship. Chapter III deals with the preconditions for the validity of the contract and discusses in detail all conditions, that make real surety agreement. Chapter IV includes the rights and obligations of the participants under the surety agreement. Chapter V discusses one of the most important terms of the surety agreement-the scope of the guarantor’s liability, it will also show the cases, when the limit of liability may be increased or decreased. Chapter VI presents surety’s rights and claims against the creditor. Chapter VII includes the separation of

suretyship from similar institutions, while Chapter VIII presents a comparative legal analysis of the norms about suretyship on the example of foreign countries. Chapter IX includes the conditions of the released liability and the chapter X presents the grounds for the termination of the surety contract.

The paper will present a comparative-legal analysis of suretyship in relation to the regulatory legislation to other countries, as well as a comparison of suretyship with neighboring institutions.

## სარჩევი

შესავალი .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
თავი I. თავდებობის ცნება და სამართლებრივი ბუნება.....	10
თავი II. თავდებობის სახეები .....	13
2.1. თავდებობა სუბსიდიარული პასუხისმგებლობით .....	15
2.2. თავდებობა სოლიდარული პასუხისმგებლობით .....	17
თავი III. თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები.....	20
3.1. თავდებობის ხელშეკრულების ფორმა .....	22
3.2. ხელშეკრულების სუბიექტები .....	25
3.3. ხელშეკრულების ფორმის გარეშე დადების სამართლებრივი შედეგები .....	27
თავი IV. თავდების ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები	31
თავი V. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები .....	35
5.1. თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულება .....	40
5.2. პასუხისმგებლობა ზღვრული თანხის ფარგლებში .....	42
5.3. ვალდებულების დარღვევისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები .....	44
5.4. თავდების პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილებისთვის .....	45
თავი VI. თავდების უფლებები და შესაგებელი კრედიტორის მიმართ.....	48
6.1. თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე .....	50
თავი VII. თავდებობის გამიჯვნა მსგავსი ინსტიტუტებისგან.....	51

თავი VIII. თავდებობის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი	56
თავი IX. თავდებობისგან გათავისუფლების საფუძვლები .....	59
თავი X. თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა .....	62
დასკვნა .....	64
გამოყენებული ლიტერატურა:.....	67

## ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები თავდებობასთან მიმართებით და მათი განმარტებები. თითოეული მუხლის განხილვაში წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რომელიც უფრო გასაგებს ხდის თითოეული ნორმის არსს და მნიშვნელობას. წარმოდგენილია შედარებები გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან, ამისთვის გამოყენებულია როგორც ორიგინალი, ასევე ქართულად თარგმნილი ვერსიები და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, უფრო ნათლად გამოიკვეთა მსგავსება გერმანულ და ქართულ სამოქალაქო კოდექსებს შორის.

ნაშრომის ძირითადი თემებია თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები და თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები, აღნიშნულ თემებთან მიმართებით ნაშრომში წარმოდგენილია მითითებები ძირითადი სახელმძღვანელოებიდან, კერძოდ, ქ.მესხიშვილი-კერძო სამართლის აქტუალური საკითხები; ავტორთა კოლექტივი-სახელშეკრულებო სამართალი. ამასთან ერთად, დამხმარე ლიტერატურას მრავლადაა გამოყენებული, ისეთი, როგორცაა დასისერტაციო ნაშრომები და სტატიები სამართლის ჟურნალებიდან. ნაშრომს უფრო საინტერესოდ წარმოაჩენს პრაქტიკულ-სამართლებრივი ასპექტები, ამისთვის

გამოყენებულია საქართველოს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. საერთო ჯამში, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურა და სასამართლო გადაწყვეტილებები ხდის კვლევას საინტერესოს და ინფორმაციით გაჯერებულს.



## შესავალი

თავდებობა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას, რომელიც ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება საკრედიტო ურთიერთობებში. თუმცა ხშირ შემთხვევებში ხდება ისე, რომ თავდები გაუცნობიერებლად და კეთილი მიზნებისთვის იღებს ვალდებულებას და შემდგომ მოულოდნელად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება.

აღნიშნული საკითხის კვლევის მოტივს წარმოადგენს თემის აქტუალურობა. ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად იმატა საკრედიტო ხელშეკრულებებმა, სადაც თავდებობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული გარანტიაა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. საკრედიტო დანესებულებებში გაცემული სესხების უმრავლესობა სწორედ თავდებობით არის უზრუნველყოფილი, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი საფუძვლიანი კვლევა და ანალიზი. თავდები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს არა მხოლოდ კონკრეტული ნივთით, არამედ მთელი თავისი ქონებით, სწორედ ეს განასხვავებს თავდებობას სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებისგან.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თავდებობის იმ მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, რომლითაც დგინდება თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა და ასევე განისაზღვრება თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები. წარმოდგენილი საკანონმდებლო ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად უფრო ნათლად ჩანს, თუ რა პრობლემები შეიძლება ახლდეს თავდებობის ხელშეკრულებას როგორც ფორმის, ასევე შინაარსის თვალსაზრისით. ასევე კარგადაა წარმოჩენილი თავდების უფლებები და შესაგებლები, რომლითაც კანონმდებელი იცავს მას არასასურველი მდგომარეობისგან. ნაშრომში გამოყენებულია სინთეზის, ანალიზისა და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად იქნება გაანალიზებული ის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, რისკები და დეტალები, რომლებიც თავდებობის ხელშეკრულების დადებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. ასევე წარმოდგენილი იქნება საკითხის გარშემო არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის პრაქტიკული მექანიზმები.

## **თავი I. თავდებობის ცნება და სამართლებრივი ბუნება**

თავდებობა არის სამოქალაქო ბრუნვაში ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხშირად

გამოყენებადი საშუალება. თავდებობის თანახმად, თავდები იღებს ვალდებულებას, პასუხი აგოს კრედიტორის წინაშე მესამე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.<sup>1</sup> აღნიშნული დანაწესი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან.

სანივთო უზრუნველყოფისგან განსხვავებით, თავდებობა წარმოადგენს უზრუნველყოფის პიროვნულ ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებას. თავდებობა თავისი ბუნებით არის ცალმხრივი, კაუზალური და კონსესუალური ხელსეკრულება. კრედიტორის ინტერესების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავდების გადახდისუნარიანობას. ასევე სანივთო უზრუნველყოფისგან განსხვავებით, თავდებობის დროს თავდების პასუხისმგებლობა რაიმე კონკრეტული საგნით კი არ არის შემოსაზღვრული, არამედ თავდებობის ფარგლებში კრედიტორს შეუძლია კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილება თავდების მთლიან ქონებაზე მიმართოს. კერძო ავტონომიისა და ნების თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეებს თავდებობა შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. პრაქტიკაში თავდებობა ძირითადად გამოიყენება ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.<sup>2</sup>

თავდებობის ხელშეკრულება არის ცალმხრივად მავალდებულებელი, რომლის ძალითაც ვალდებულება წარმოეშობა თავდებს. კრედიტორის ვალდებულებებს კოდექსის 891-ე მუხლი არ ითვალისწინებს. თავდებობის წარმოშობისთვის აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმება კრედიტორსა და თავდებს შორის. აღნიშნულ ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაერთოს მოვალე, თუმცა კანონი ამის აუცილებლობას არ მოითხოვს. თავდების როლში შეიძლება გამოვიდნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 891 (1)

<sup>2</sup> ზურაბ ძღეროშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლ რუხაძეძე, გიორგი სვანაძე, ლევა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალთა ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წელს, გამომცემლობა „მერთლანი“, გვ: 547

თავდებობა აქცესორული ბუნებისაა, დამატებითი ვალდებულებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი წარმოშობა და განხორციელება დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების არსებობაზე.<sup>3</sup> ძირითადი ვალდებულების ბათილობის შემთხვევაში არ წარმოიშობა თავდების ვალდებულება. თავდებობის აქცესორულობიდან გამომდინარე, თავდებს ყველა იმ შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, რაც გააჩნია ძირითად მოვალეს. აქცესორული ბუნებიდან გამონაკლისს წარმოადგენს წესი, რომლის მიხედვით, თუ გარდაიცვალა ძირითადი მოვალე, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მისი მემკვიდრის შემლუდულ პასუხისმგებლობაზე.<sup>4</sup> თავდებობის ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების კრედიტორი და თავდებობის კრედიტორი ერთი და იგივე პირი იყოს. ხოლო ძირითადი ხელშეკრულების მოვალე და თავდები აუცილებლად სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ.<sup>5</sup> შეუძლებელია პირის მიერ საკუთარი ვალის მის მიერ თავდებობით უზრუნველყოფა.<sup>6</sup> თავდებობის მნიშვნელობის დასტურად საკმარისია იმაზე მითითება, რომ საკრედიტო დანესებულებები სესხის გაცემისას არ სჯერდებიან მხოლოდ გირავნობას ან იპოთეკას და აუცილებლად იყენებენ თავდებობას.<sup>7</sup> აღნიშნული მათ მიერ გაცემული კრედიტების დაბრუნების უფრო მეტ გარანტიას იძლევა.

თავდებობის პიროვნულობაში არ იგულისხმება მისი პიროვნების ხელშეხების შესაძლებლობა, არამედ მოიაზრება შინაარსი, რომ თავდები პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით და პასუხისმგებლობა ეკისრება ზღვრული თანხის ოდენობით. თავდების ქონება შეიძლება გასხვისდეს მესამე პირებზე თავდებობის განმავლობაში, თუმცა აღნიშნული არ უნდა

<sup>3</sup> ზ.ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებოსამართლო, თბილისი, 2010 წელი, გვ:299

<sup>4</sup> ქეთევან მესხიშვილი-კეჩოსამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი, გვ:36

<sup>5</sup> ჯანტურია.ლევონტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელი, გვ:186

<sup>6</sup> ვიორჯი რუსიაშვილი-საქარაფელის სამოქალაქოკოდექსის კომენტარი, მუხლ 891-gccc.ge

<sup>7</sup> ჯანტურია.ლევონტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელი, გვ:179

ემსახურებოდეს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნებს, ანუ გარიგება არ უნდა ატარებდეს მოჩვენებით ხახსიათს.<sup>8</sup>

კოდექსის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ „თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისთვის.“<sup>9</sup> დღესდღეობით პრაქტიკაში ხშირად გვაქვს ასეთი შემთხვევები საბანკო სექტორში. სამომავლო და პირობითი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დადებული თავდებობის შემთხვევაში, ვალდებულება წარმოიშობა ამ პირობის დადგომისთანავე.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-20 კარის 765-ე პარაგრაფი მოიცავს თავდებობის ცნებას, სადაც ასევე ქართული კოდექსის მსგავსად არის მოწესრიგებული და გერმანული კოდექსიც უშვებს თავდებობის გავრცელებას სამომავლო და პირობით გარიგებებზე.<sup>10</sup>

## თავი II. თავდებობის სახეები

თავდებობის სახეებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ის შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი სუბსიდიარული ან სოლიდარული პასუხისმგებლობით. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი „სუბსიდიარული თავდებობის“ ცნებას არ აკონკრეტებს. პრაქტიკაში ის ხშირად არის მოხსენიებული როგორც ჩვეულებრივი, სტანდარტული ტიპის თავდებობა, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ მოხდეს მისი განსხვავება

<sup>8</sup> დკერუსელძე, კერძოსამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 წელი, გვ:65

<sup>9</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლი 891 (2)

<sup>10</sup> German Civil Code-BGB-Title 20-Suretyship-www.gesetze-im-internet.de

თავდებობისგან სოლიდარული პასუხისმგებლობით. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად იმისა, თავდებობა იქნება სუბსიდიარული თუ სოლიდარული პასუხისმგებლობით, ის მაინც ინარჩუნებს აქცესორულ ბუნებას. შესაბამისად, ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია ძირითად ვალდებულებასთან.<sup>11</sup> სოლიდარული თავდებობის ცნებას პირდაპირ ითვალისწინებს კოდექსი, 895-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში კრედიტორს სოლიდარული თავდების მიმართ შეუძლია მოთხოვნის წარდგენა ძირითადი მოვალისგან ყოველგვარი იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.<sup>12</sup> სტანდარტული თავდებობის შემთხვევაში კი კრედიტორმა ჯერ უნდა სცადოს მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულება. სანამ კრედიტორი არ ამოწურავს მოვალისგან დაკმაყოფილების საშუალებებს, თავდებს შეუძლია უარი თქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. როგორც აღვნიშნე, ნებისმიერ შემთხვევაში ინარჩუნებს თავდებობა აქცესორულ ხასიათს და არსებობს მანამდე, სანამ იარსებებს ძირითადი ვალდებულება. სოლიდარული თავდებობის შემთხვევაშიც, სოლიდარული თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებისას, მას მოვალის მიმართ უკუმოთხოვნა წარმოეშობა.

თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები განმარტავს თავდების ფუნქციურ დანიშნულებას და მის მიმართებას კრედიტორსა და ძირითად მოვალესთან. პრაქტიკაში სტანდარტული თავდებობა შედარებით იშვიათია და ხშირ შემთხვევებში გვხვდება თავდებობა სოლიდარული პასუხისმგებლობით. აღნიშნული კრედიტორისთვის უფრო ეფექტურ უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს, რადგან მას აღარ სჭირდება მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობა. პრაქტიკაში კი,

<sup>11</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარაღის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი, გვ:37

<sup>12</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლი 895

დავის შემთხვევაში კრედიტორი სასამართლოში ერთდროულად ედავება როგორც ძირითად მოვალეს ასევე თავდებს, ეს უკანასკნელები კი სასამართლო დავაში გამოდიან როგორც თანამოპასუხეები.<sup>13</sup>

## **2.1. თავდებობა სუბსიდიარული პასუხისმგებლობით**

ჩვეულებრივი, სტანდარტული ტიპის თავდებობაში მოიაზრება თავდებობა სუბსიდიარული პასუხისმგებლობით. თავდებობის სუბსიდური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ კრედიტორი ჯერ უშუალოდ მოვალის მიმართ ცდილობს იძულებით აღსრულებას და მხოლოდ მასთან ყველა საშუალების გამოყენების შემდეგ აქვს თავდების მიმართ მოთხოვნის უფლება. სანამ კრედიტორი აღნიშნულ მცდელობას არ განახორციელებს, თავდებს შეუძლია უარი განაცხადოს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე.<sup>14</sup> ამ დანაწესს ითვალისწინებს კოდექსის 894-ე მუხლი. სწორედ ეს წარმოადგენს თავდებობის სუბსიდიარულ და სოლიდარული პასუხისმგებლობის სახეებს შორის განსხვავებას. თავდებს ასევე შეუძლია მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარი განაცხადოს როგორც წინასწარ, ასევე თავდებობის ხელშეკრულების დადების შემდეგ. 894-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებელი არის ნებაყოფლობითი და თავდებს შეუძლია არ გამოიყენოს. არის შემთხვევები, როდესაც შეიძლება ზიანის მომტანიც კი იყოს ის. მაგალითისთვის, თუ თავდები დარწმუნებულია, რომ მოვალე გადახდისუნაროა, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების წარმოება დამატებითი აღსრულების ხარჯებს მოითხოვს, რომელზეც პასუხისმგებლობა

<sup>13</sup> დკერსელძე, სამოქალაქოკოდექსის ზოგადი დებულებები, ჟურნალ ქართულ სამართალს მიმოხილვა, 7/2004-1

<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქოკოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლ 894

თავდებს დაეკისრება.<sup>15</sup> „ძირითადი მოვალის ქონების გაუმჯობესება, მანამდე უშედეგოდ ჩავლილი აღსრულების მცდელობის შემდეგ, არ იწვევს 894-ე მუხლით მინიჭებული უფლების თავიდან მინიჭებას.“<sup>16</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არის არის ნახსენები სუბსიდიარული თავდებობა, თუმცა თავდებობა სოლიდარული პასუხისმგებლობით მოწესტიგებულია 773-ე პარაგრაფით. ის ქართული კოდექსის 895-ე მუხლისგან პრინციპულად განსხვავებულად არის აგებული, შესაგებებლზე უარის წინასწარ თქმა წარმოადგენს თავდების პირდაპირი პასუხისმგებლის ერთ-ერთ ქვეშემთხვევას. პრაქტიკაში გვაქვს ტერმინები თავდებობა „პირველი მოთხოვნისთანავე“ და „მოვალის გამოთიშვის“ თავდებობა.<sup>17</sup> თავდებობა „პირველი მოთხოვნისთანავე“ ძირითადი მოთხოვნისგან დამოუკიდებელი ხასიათის მინიჭების ერთ-ერთი მაგალითია. ამ დროს თავდებს წართმეული აქვს კოდექსის 894-905 მუხლებით გათვალისწინებული შესაგებებლები. თუმცა თავდებობის ამ სპეციალური ფორმის დროსაც ძალაში რჩება მისი აქცესორულობისა და სუბსიდიარულობის პრინციპები.<sup>18</sup> ამ ტიპის თავდებობა შეგვიძლია მივაკუთვნოთ გარანტიას ფორმალური კუთხით. იმ შემთხვევაში თუ კრედიტორს არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ თავდები რეალურად გააცნობიერებდა ამ შეთანხმების რეალურ იურიდიულ შინაარსს და მისთვის დაკისრებული ტვირთის სიმძიმეს, „პირველი მოთხოვნისთანავე“ თავდებობა უნდა განიმარტოს როგორც სტანდარტული თავდებობა. ამგვარი შემთხვევები კი ძირითადად დგება მაშინ, როდესაც თავდები არ არის

<sup>15</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარულს აქტუალურ საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელს, გვ:37

<sup>16</sup> გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქოკოდექსის კომენტარი, მუხლ 894, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)

<sup>17</sup> German Civil Code-BGB-Title 20-Suretyship-[www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)

<sup>18</sup> გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნამსგავსი ტიპის შეთანხმებებისგან და სპეციალურ ფორმები, შედარებით სამართალს უწყნალო 1/2020, გვ:26



საბანკო-საკრედიტო სექტორის წარმომადგენელი.<sup>19</sup> „პირველი მოთხოვნისთანავე“ თავდებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკრედიტო ინსტიტუტებისთვის, რადგან აქ თავდები მნიშვნელოვნად შეზღუდულია სამართლებრივი დაცვის საშუალებებში, რამდენადაც ისინი თავად ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს. თავდებს უშუალოდ ეკისრება ვალდებულების შესრულება, როდესაც კრედიტორი ითხოვს ამას და მიუთითებს მის ვადამოსულობაზე. ამ ტიპის თავდებობის მიზანია კრედიტორის სწრაფი დაკმაყოფილება და პროცესუალური რისკების თავდებზე გადატანა.<sup>20</sup>

რაც შეეხება „მოვალის გამოთიშვის“ თავდებობას, ის ზემოაღნიშნულის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს. აქ თავდების მდგომარეობა გამყარებულია იმგვარად, რომ მას არ აქვს მხოლოდ 894-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებელი, მისი ვალდებულება თავიდანვე წარმოიშობა პირობადებულად, კერძოდ იმ პირობით, რომ კრედიტორმა მის მიერ განხორციელებული იძულებითი აღსრულებისას მოვალის მთლიან ქონებაზე და ყველა სხვა უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციის შედეგად ვერ უნდა მოიპოვოს დაკმაყოფილება. სწორედ აღნიშნული ტიპის თავდებობა არის თავისი არსით ყველაზე ახლოს თავდებობასთან სუბსიდიარული პასუხისმგებლობით.<sup>21</sup>

## **2.2. თავდებობა სოლიდარული პასუხისმგებლობით**

კრედიტორი უფლებამოსილია მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნა წაუყენოს მხოლოდ

<sup>19</sup> გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქოკოდექსის კომენტარი, მუხლ 891, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)

<sup>20</sup> იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქოკოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: თინიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბილისი, 2014 წელი, გვ:566

<sup>21</sup> გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქოკოდექსის კომენტარი, მუხლ 891, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)

სოლიდარულ თავდებს. კოდექსის 894-ე მუხლიდან კანონმდებლის მიერ დაიშვება გამონაკლისები, მთავარ გამონაკლისს კი სწორედ 895-ე მუხლი წარმოადგენს, სადაც მონესრიგებულა თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა არც სოლიდარული თავდებობაა უპირობო. სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილი მოთხოვნა საფუძვლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება 895-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. საპროცესო სამართლებრივად, კრედიტორმა უნდა დაადასტუროს ვალდებულების დარღვევის, უშედეგო გაფრთხილების ან მოვალის გადახდისუუნარობის ფაქტი.<sup>22</sup>

პრაქტიკაში, როგორც წესი სოლიდარული თავდებობის ინსტიტუტი უფრო აქტიურად გამოიყენება. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული კრედიტორისთვის უფრო მოქნილი და ეფექტური გზაა მოთხოვნის დაკმაყოფილების. საქართველოში ამჟამად არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უმეტესწილად იყენებენ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

შედეგობრივი თვალსაზრისით, სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობა სოლიდარულია ძირითად მოვალესთან ერთად კრედიტორის წინაშე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ძირითადი მოვალე და თავდები ვერ ჩაითვლებიან სოლიდარულ მოვალეებად.<sup>23</sup> სოლიდარულ თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობა არ წესრიგდება სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელი რეგულაციებით და მასზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 473 მუხლის დანაწესი.

<sup>24</sup>სოლიდარული თავდებობა შედარებით არბილებს თავდებობის მკაცრ აქცესორულობას, თუმცა ბმა კვლავ რჩება ძირითად ვალდებულებასა და თავდებობას, როგორც დამხმარე ვალდებულებას შორის. რაც შეეხება

<sup>22</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 895

<sup>23</sup> გიორგი რუსიაშვილ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლ 891, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)

<sup>24</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარაღის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელს, გვ:38

თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობას, ის წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის თანახმად. თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მას უჩნდება უკუმოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ.<sup>25</sup> რეალურად, თავდები ასრულებს ვალდებულებას, რომლის მოთხოვნის უფლება შემდგომ მასზე გადადის.

სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში, თავდებს წართმეული აქვს 894-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის გამოყენების უფლება, თუმცა კრედიტორის მიერ აუცილებელია გარკვეული წინაპირობების გათვალისწინება, კერძოდ: სახეზე უნდა იყოს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადაცილება, კრედიტორის მიერ მისი უშედეგო გაფრთხილება ან მოვალის აშკარა გადახდისუუნარობა. აღნიშნული წინაპირობები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და დაუშვებელია შეთანხმებით მათზე უარის თქმა, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოვა კანონმდებლის მიზანთან, რომელმაც 895-ე მუხლის სახით გამონაკლისი დაუშვა თავდებობის სუბსიდიარული ბუნებიდან.<sup>26</sup> 894-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის გამოყენებაზე უარი თავდებმა შეიძლება განაცხადოს როგორც წინასწარ, ასევე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ასეთი შეთანხმების ნამდვილობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა.<sup>27</sup>

<sup>25</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლ 905

<sup>26</sup> გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლ 895, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)

<sup>27</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:556

### **თავი III. თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები**

თავდებობის ურთიერთობა ემყარება ხელშეკრულებას თავდებსა და კრედიტორს შორის. თავდებობის ნამდვილობისთვის აუცილებელია თავდების წერილობითი განცხადება და თავდებობის დოკუმენტში პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.<sup>28</sup> თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის გარიგების ნამდვილობის ზოგადი წესები მოქმედებს. თავდებობის ძალით თავდები

---

<sup>28</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 892 (1)

კისრულობს პასუხისმგებლობას, რომ შეასრულოს ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულება, თუმცა ვალდებულების აღების მომენტს ხელშეკრულების ნამდვილობისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თავდებობის ნამდვილად მიჩნებისთვის აუცილებელია, რომ ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანდეს მოვალისა და კრედიტორის პიროვნება. აქ არ იგულისხმება მათი პერსონალური მითითება, ძირითადი ვალდებულება არაორაზროვნად და უტყუარად უნდა გვაძლევდეს მათი დადგენის საშუალებას.<sup>29</sup>

როგორც აღვნიშნე, თავდებობის ნამდვილობის ძირითად წინაპირობად კანონმდებელი ასახელებს თავდებობის ფორმას. პრაქტიკაშიც არ არის შემთხვევები, როდესაც წერილობითი განცხადების გარეშე თავდებობა ჩაითვალოს ნამდვილად. ასევე ხშირად სადავოა ისეთ თავდებობათა ნამდვილობა, როდესაც თავდების ქონება ვერ უზრუნველყოფს ძირითად ვალდებულებას, იქიდან გამომდინარე, რომ უზრუნველყოფილი ვალდებულება ბევრად აღემატება თავდების ქონებას ან მაშინ, როდესაც თავდები არასრულწლოვანია.<sup>30</sup> აღნიშნული წინაპირობები მიზნად ისახავს თავდების დაცვას. წერილობითი ფორმის სავალდებულოობა თავდებს საშუალებას აძლევს უკეთ გააანალიზოს და ანონ-დანონოს მოსალოდნელი შედეგები. ის, რომ თავდები ვერ ახდენს ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე გავლენას, უფრო ზრდის მისი დაუცველობის ხარისხს. კანონმდებლის მიერ მოთხოვილი ფორმა და ხელშეკრულების რეკვიზიტები თვალნათელს ხდის თავდებისთვის შესაძლო პასუხისმგებლობის მოცულობას და თავდებობასთან დაკავშირებულ რისკებს.

---

<sup>29</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:550

<sup>30</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარულს აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი, გვ:33

თუმცა ქართული კოდექსი უშვებს გამონაკლისს თავდებობის ფორმასავალდებულოობის მოთხოვნიდან, კერძოდ „თუ ვინმე საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს თავდებობის შესახებ, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.“<sup>31</sup> აღნიშნული გამონაკლისი იქიდან გამომდინარეობს, რომ მენარმე პირის იმავე ხარისხით დაცვა არ არის საჭირო და მოსალოდნელია, რომ ის არ მიიღებს გაუთვითცნობიერებელ გადაწყვეტილებას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 766-ე პარაგრაფში არის დანაწესი, რომლის თანახმად ხელშეკრულების ნამდვილად მიჩნევისთვის აუცილებელია მისი ფორმის დაცვა, წერილობითი ფორმის ელექტრონული ფორმით ჩანაცვლება არ არის შესაძლებელი. გამონაკლისი ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებით აქაც არის სამენარმეო ურთიერთობები.<sup>32</sup>

### **3.1. თავდებობის ხელშეკრულების ფორმა**

თავდებობის ურთიერთობაში ფორმის სავალდებულოობა არის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. წერილობითი ფორმის მოთხოვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ თავდებობის ხელშეკრულების ძალით თავდებს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა და

<sup>31</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლი 892 (2)

<sup>32</sup> German Civil Code-BGB-Title 20-Suretyship-www.gesetze-im-internet.de

კრედიტორს გააჩნია წვდომა მის ქონებაზე. კანონმდებელი სპეციალურ ფორმას მხოლოდ თავდების განცხადებისთვის ადგენს, სადაც ასევე მითითებული უნდა იყოს პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. ისევე როგორც სხვა წერილობითი გარიგებების შემთხვევაში, აქაც მითითებული უნდა იყოს ყველა არსებითი პირობა. გერმანული პრაქტიკის მიხედვით, კრედიტორის ნების გამოხატვა, რომელიც მიმართულია თავდებობის ხელშეკრულების დადებისკენ, წერილობითი ფორმის დაცვას არ საჭიროებს. ფორმის დაცვისთვის საკმარისია, რომ თავდებმა გამოხატოს წერილობითი ნება და გადასცეს კრედიტორს. ამით კრედიტორი კონკლუდენტურად იღებს მისთვის გადაცემულ ოფერტს, რაც საკმარისია ფორმის დაცვით თავდებობის ხელშეკრულების დადებისთვის. აღნიშნული ელემენტის დაუცველობა იწვევს ნების გამოხატვის ბათილობას.<sup>33</sup>

კოდექსში თავდების განცხადების ფორმასავალდებულოობაზე მითითება ორაზროვანია, რადგან პირდაპირ არ არის მითითებული თავდებობის ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული სპეციალური ფორმა. თუმცა, 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება მხოლოდ წერილობით დოკუმენტში არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ არ არის პირდაპირი მითითება, უნდა იგულისხმებოდეს, რომ ხელშეკრულებაც იყოს წერილობითი ფორმით წარმოდგენილი.<sup>34</sup> თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში იყო საქმე, როდესაც მხოლოდ თავდების წერილობითი საგარანტიო განცხადების საფუძველზე თავდებობდა ცნეს ნამდვილად. აღნიშნულ დოკუმენტში, რომელიც შპს-ს გენერალური დირექტორის და

<sup>33</sup> გიორგი რუსიაშვილი/ნინო ქავშაია, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ: 27

<sup>34</sup> გიორგი რუსიაშვილი/ნინო ქავშაია, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ: 28

ბულალტერის ხელმოწერით იყო დადასტურებული, ასევე მითითებული იყო თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები და ხელშეკრულების არსებითი პირობები. კრედიტორმა მიიღო დოკუმენტი და არ გამოუთქვამს პრეტენზია მასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, ყველა პირობა იყო დაცული და მოქცეული იყო ერთ დოკუმენტში. უზენაესი სასამართლო აღნიშნულ საქმეში განმარტავს: „თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტები არიან თავდები და კრედიტორი. თავდებობის ნამდვილობისთვის კი საჭიროა, რომ იგი მიიღოს კრედიტორმა და დარწმუნდეს, რომ დოკუმენტში გამოხატული ნება მომდინარეობს ხელშეკრულების მხარისგან.“ ასეთ შემთხვევაში სასამართლომ თავდებობა მიიჩნია ნამდვილად, რადგან კანონი არ კრძალავს, რომ ერთსა და იმავე დოკუმენტში გაფორმდეს როგორც თავდების განცხადება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები და კანონმდებლის მიერ ნამდვილობისთვის დაწესებული წინაპირობები.<sup>35</sup>

ფორმის დაცვას გააჩნია თავდების დაცვის, გაფრთხილების ფუნქცია. წერილობითი ფორმა და ხელშეკრულების რეკვიზიტები უზრუნველყოფს თავდების მიერ დაუფიქრებელი და გაუაზრებელი გადაწყვეტილების თავიდან აცილებას. ხშირად ხდება ისე, რომ თავდები იმ რწმენით თანხმდება ძირითად მოვალეს, რომ ის აუცილებლად შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას, რეალურად კი თავდებს უნდა ჰქონდეს იმ პასუხისმგებლობის ტვირთის შეგრძნება, რაც ხელშეკრულებით შეიძლება დაეკისროს.<sup>36</sup> გარდა ამისა, წერილობით ფორმას გააჩნია მტკიცებულებითი ფუნქცია და თავიდან გვარიდებს დავას თავდებობის არსებობასა და მის ოდენობასთან დაკავშირებით. თავდებობის ფორმა ემსახურება იმ რისკის

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის საქმე #ას-3კ-432-02

<sup>36</sup> გიორგი ამირანაშვილი, გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018 წელი, გვ:131



შემოსაზღვრასა და ხაზგასმას, რომელიც თავდება ხელშეკრულებით იკისრა.

37

კოდექსის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის სავალდებულობის შესახებ იპერატიული ხასიათისაა, შესაბამისად მხარეებს არ შეუძლიათ შეთანხმებით გამორიცხონ ან შეზღუდონ ამ ნორმის მოქმედება. მაგალითისთვის: თუ ხელოსანს, რომელმაც იკისრა მანქანის გარემონტება, კრედიტორის წინაშე თავდებად დაუდგება სხვა ხელოსანი, ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი. კანონმდებელი გამონაკლისის სახით უშვებს მხოლოდ პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განხორციელებულ თავდებობას.

### **3.2. ხელშეკრულების სუბიექტები**

თავდებობის ურთიერთობა იწყება ხელშეკრულების დადებით თავდებასა და კრედიტორს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებით დასტურდება თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულება. თავდებობის ურთიერთობის მონაწილე პირები არიან: თავდები, კრედიტორი და ძირითადი მოვალე, თუმცა კანონმდებლის მოთხოვნით, თავდებობის ნამდვილობისთვის აუცილებელია შეთანხმება კრედიტორსა და თავდებს შორის, შესაბამისად სწორედ ისინი წარმოადგენენ თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტებს. მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი ვალდებულების კრედიტორი და თავდებობის კრედიტორი ერთსა და იმავე

---

<sup>37</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:549

პირებს წარმოადგენდნენ, ხოლო თავდები და მოვალე კი აუცილებლად სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ, რადგან თავდებობა კრედიტორისთვის ვალდებულების შესრულების დამატებით უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

თავდების განცხადებაში გამოხატული უნდა იყოს მისი ნებელობა ვალდებულების შესრულების შესახებ. ხელშეკრულების ძალით თავდები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მესამე პირის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ისე, რომ პირადად მას ბრალი არ მიუძღვის აღნიშნულ შეუსრულებლობაში. იქიდან გამომდინარე, რომ თავდებობის ნამდვილობისთვის საკმარისია თავდების წერილობითი განცხადება, თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტს ძირითადი მოვალე არ უნდა წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში ძირითადი განმსაზღვრელია შეთანხმება თავდებსა და კრედიტორს შორის. თავდებობა ცალმხრივი, მიღებასავალდებულო გარიგებაა. კანონი არ მოითხოვს კრედიტორის მიერ ნების მიღების წერილობით დადასტურების ვალდებულებას. საკმარისია თავდების მიერ წერილობით გამოხატული ნების კრედიტორამდე მისვლა

მიუხედავად იმისა, რომ თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები წარმოეშობა თავდებს, ვალდებულებაზე საბოლოოდ პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს ძირითადი მოვალე. თუ თავდები შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მას ძირითადი მოვალისგან რეგრესის წესით ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.<sup>38</sup>

თავდებად შეიძლება წარმოადგენილნი იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, მათ შორის სახელმწიფოც. სახელმწიფოს მონაწილეობის შემთხვევაშიც კი არ იცვლება თავდებობის

---

<sup>38</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 905

კერძოსამართლებრივი ბუნება, რაც პირველ რიგში, წარმოშობილი დავის სამოქალაქო სასამართლოებისადმი ქვემდებარეობით გამოიხატება.<sup>39</sup>

### **3.3. ხელშეკრულების ფორმის გარეშე დადების სამართლებრივი შედეგები**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები.<sup>40</sup> შესაბამისად, თავდებობის ფორმის დაუცველად დადებაზე უნდა გავრცელდეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. გერმანული კანონმდებლობით, შესაძლებელია ფორმის ნაკლის აღმოფხვრა მისი ნამდვილად ქცევით ანუ რეალური შესრულებით.<sup>41</sup> ქართული კოდექსი ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. თავდებობის ფორმაში მოიაზრება როგორც თავდების წერილობითი განცხადება, ასევე თავდებობის დოკუმენტში მითითებული პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. შესაბამისად, რომელიმე მათგანის ნაკლის გამო თავდებობის ხელშეკრულება ბათილად მიიჩნევა, ხოლო თავდების ვალდებულებები გაუქმებულიად.

საინტერესოა, რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც თავდებობა წერილობით არ გაფორმდა, თუმცა თავდებმა შეასრულა ვალდებულება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართული კანონმდებლობით შესრულება არ არის საკმარისი ფორმის ნაკლის გამოსწორებისთვის და ხელშეკრულების

<sup>39</sup> ჭანტურია.ლ.კრუტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელს, გვ:186

<sup>40</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 59 (1)

<sup>41</sup> German Civil Code-BGB-Title 20-Suretyship, 766 (3) -www.gesetze-im-internet.de

ნამდვილად ქცევითვის. აღნიშნული ასევე ემსახურება თავდების დაცვას, რადგან ხშირად, წერილობითი ფორმის შემთხვევაშიც კი თავდები დაუფიქრებლად თანხმდება ხელშეკრულებას. ამიტომაც მიზანშეწონილია თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის მკაცრი დაცვა.<sup>42</sup>

თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი ფორმის ნაკლის ან არსებითი პირობების ბუნდოვანების გამო. ასევე თავდებობა ამორალურობის კონტექსტში შეიძლება შემონმდეს, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულების ღირებულება თავდების ქონებას მნიშვნელოვნად აღემატება. მაგალითისთვის, როდესაც მოვალე თავის ვალდებულებას დამოუკიდებელი შემოსავლის არმქონე ოჯახის წევრების თავდებობით უზრუნველყოფს. სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც ასეთი ტიპის თავდებობა სამოქალაქო კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად იქნა მიჩნეული და ამის გამო ბათილად ცნობილი. თავდებობის ამორალურობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია აშკარა შეუსაბამობა თავდებობით უზრუნველყოფილ თანხასა და თავდების გადახდისუნარიანობას შორის, როდესაც თავდებს არ აქვს შემოსავალი სულ ცოტა იმ ოდენობით, რომ პერიოდულად ვადამოსული დავალიანება ან პროცენტი დაფაროს.<sup>43</sup>

მორალურობისა და ზნეობრივი ნორმების ფარგლებში საჭიროა განვიხილოთ არასრულწლოვანთა თავდებობა. ზოგადად, არასრულწლოვანთა მიერ დადებულ გარიგებებს ნამდვილობისთვის სჭირდება მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადასტურება. საინტერესოა, თავდებობის შემთხვევაში, რამდენად შეიძლება გავრცელდეს ეს ნორმა და შეიძლება თუ არა თავდებობა მივიჩნიოთ ნამდვილად. წარმომადგენლის მეშვეობით არასრულწლოვანი შეიძლება

<sup>42</sup> ჭანტურია. ლეკრუტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელს, გვ:189

<sup>43</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელს, გვ:31

გახდეს სამართალურთიერთობის მონაწილე, თუმცა აღნიშნული გარიგება ბავშვის საუკეთესო ინტერესს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე ქცევის მორალური სტანდარტი. გარიგება ამორალურია, თუ ის მხარეს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები. აქ იგულისხმება ბავშვის ქონებით არამიზნობრივად, მისი ინტერესების საზიანოდ სარგებლობა. აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა თავდებობა, თუნდაც კანონიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, წარმოადგენს არასრულწლოვანთა ეკონომიკურ ექსპლოატაციას და შეუძლებელია მათთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სიკეთის მომტანი იყოს.

<sup>44</sup> „არასრულწლოვანი ბავშვისთვის, რომელიც თავად მზრუნველობას საჭიროებს, ასეთი ვალდებულების დაკისრება ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება და სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 61-ე მუხლების თანახმად უცილოდ ბათილ გარიგებას წარმოადგენს.“ <sup>45</sup>

ზღვრული თანხის მითითება ერთ-ერთი არსებითი პირობაა თავდებობის ხელშეკრულებისთვის, შესაბამისად მისი დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. თავდებობა ასევე შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ ხელშეკრულებიდან ნათლად არ ჩანს მოვალისა და კრედიტორის პიროვნება, არა პერსონალური, არამედ შინაარსობრივი გაგებით. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, თავდებობა ფორმის დაუცველად ყველა შემთხვევაში ბათილია ხარვეზის გამოსწორების

<sup>44</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი #71776/12)

<sup>45</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე #22/3694-18

შესაძლებლობის გარეშე, გარდა 892-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

გამონაკლისს ფორმასავალდებულობის მოთხოვნიდან ასევე ითვალისწინებს გერმანული კანონმდებლობა, კერძოდ, გერმანიის სავაჭრო კოდექსის 350-ე პარაგრაფის თანახმად, „თუ თავდებობა თავდებისთვის, რომელიც არის ვაჭარი, (საქართველოში: მენარმე) წარმოადგენს სავაჭრო გარიგებას, ის აღარ არის ფორმასავალდებულო.“<sup>46</sup>

---

<sup>46</sup> გიორგი რუსიაშვილი/ნინო ქავჭავაძე, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ: 29

## თავი IV. თავდების ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები

ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ვატონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა პირმა დადოს ან არ დადოს ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაჰენტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.<sup>47</sup>

თავდებობის ხელშეკრულება არის ცალმხრივად მავალდებულებელი, რომლის ძალითაც თავდები იღებს ვალდებულებას კრედიტორის წინაშე შესრულოს მესამე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულება, მის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში. თავის მხრივ, თავდებს ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, უკუმოთხოვნის უფლება გააჩნია ძირითადი მოვალის მიმართ. თავდების ვალდებულების წარმოშობის საფუძველია შეთანხმება მასსა და კრედიტორს შორის. ასევე ამას წინ უნდა უძღვოდეს ძირითადი ვალდებულების არსებობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იწყება თავდებობის ურთიერთობა.

კრედიტორის მოთხოვნისა და თავდების პასუხისმგებლობის მთავარ სამართლებრივ საფუძველს შეიცავს კოდექსის 891-ე მუხლი. თავდების პასუხისმგებლობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ძირითადი ვალდებულების არსებობა, არამედ დამდგარი უნდა იყოს აღნიშნული

---

<sup>47</sup> ჭანტურია.ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2011 წელი, გვ: 93

ვალდებულების შესრულების ვადა. <sup>48</sup> პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც თავდები ძირითადი მოვალისგან იღებს გასამრჯელოს თავდებობის კისრებისთვის. (მაგ: ბანკის თავდებობა)<sup>49</sup> ასევე შესაძლებელია კრედიტორმაც იკისროს რაიმე საპირისპირო შესრულება, მაგალითისთვის: მოვალისთვის დამატებითი კრედიტის მიცემა თავდებობის კისრების შემთხვევაში. ასეთ დროს თავდებობა იცვლის მის რეალურ სახეს და იქცევა ორმხრივ ხელშეკრულებად, თუმცა თავდებობის შინაარსის ასეთ ცვლილებას კანონი არ ითვალისწინებს.

თავდების ვალდებულებისთვის განმსაზღვრელია მხოლოდ ძირითადი ვალდებულება. თუ ძირითადი მოვალე თავდებობის შემდეგ დადებს რაიმე გარიგებას, ცხადია ასეთი გარიგებით წარმოშობილ ვალდებულებებზე თავდებობა არ გავრცელდება და შესაბამისად, თავდების ვალდებულებაც არ გაიზრდება. <sup>50</sup>

კრედიტორს მოთხოვნის უფლება თავდების მიმართ უჩნდება მას შემდეგ, რაც დადგება ვალდებულების შესრულების დრო და ძირითადი მოვალისგან ვერ მიიღებს შესრულებას. ვალდებულების შესრულების შემდეგ კი ხდება კრედიტორის ჩანაცვლება და მის ადგილს იკავებს თავდები, შესაბამისად მას უჩნდება მოთხოვნის უფლება ძირითადი მოვალის მიმართ. კოდექსი განსაზღვრავს, რომ „თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა ამის შესახებ უნდა აცნობოს თავდებს, მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ.“ წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორი კარგავს თავდების მიმართ მოთხოვნას

<sup>48</sup> ჭანტურია.ლევონის უმრავლესობის სამართალ, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელი, გვ:193

<sup>49</sup> რუსიაშვილი.გ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891, www.gccc.ge

<sup>50</sup> ლალო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001 წელი, გვ: 231



იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.<sup>51</sup> აღნიშნული წარმოადგენს კრედიტორის დამატებით ვალდებულებას.

ზოგადად, კრედიტორი არ არის ვალდებული თავდებს აუხსნას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკები, თუ მანამდე თავად არ შეუყვანია შეცდომაში ამასთან დაკავშირებით, თუმცა შეგნებულად უმნიშვნელოდ არ უნდა წარმოაჩინოს რისკები თავდების თვალში. თუ კრედიტორი განზრახ დაარღვევს დამატებით ვალდებულებას, იგი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით. ხოლო თუ კრედიტორმა დაარღვია წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომლის მიწოდების შემთხვევაშიც თავდები ხელშეკრულებას არ დადებდა, თავდები თავისუფლდება ვალდებულებისგან კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.<sup>52</sup>

შემოგთავაზებთ საქართველოში არსებული ერთ-ერთი კომერციული ბანკის თავდებობის ხელშეკრულებას, კერძოდ, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ნაწილში. აღნიშნული ხელშეკრულება ასევე მოიცავს: ინფორმაციას მხარეთა შესახებ, თავდებობის ტიპს, ხელშეკრულების საგანს, თავდების პასუხისმგებლობის ოდენობას, ხელშეკრულების ვადასა და მისი შეწყვეტის პირობებს. აღნიშნული მაგალითით პრაქტიკაში უკეთ დავინახავთ, თუ რატომ უნდა გაეცნოს თავდები დეტალურად ხელშეკრულების თითოეულ პუნქტს და მხოლოდ ამის შემდეგ პასუხისმგებლობის სრული გააზრებით მოაწეროს ხელი თავდებობის ხელშეკრულებას.

1. ბანკი ვალდებულია შეატყობინოს თავდებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების

<sup>51</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ობილსი, 1997 წელს, მუხლი 902 (1) (2)

<sup>52</sup> გიორგი რუსიაშვილი/ნინო ქავშბაია, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ: 34

შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შესახებ და მოთხოვოს მას ვალდებულების შესრულება,

2. თავდები მოვალეა, დროულად, წერილობით შეატყობინოს კრედიტორს ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ.
3. თავდები უფლებამოსილია, კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მსესხებელს გააჩნია. თავდები არ კარგავს შესაგებელზე უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსესხებელი უარს ამბობს მასზე.
4. თავდები პასუხისმგებლობას იღებს მსესხებლის მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისას ბანკის მიერ წერილობითი მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში შეასრულოს მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი.
5. ბანკი უფლებამოსილია წაუყენოს თავდებს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ მსესხებელმა გადააცილა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა ან მსესხებლის გადახდისუუნარობა აშკარაა.
6. თავდების მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მიაწოდოს მას მის ხელთ არსებული ყველა საჭირო საბუთი, რომელიც ადასტურებს მოთხოვნის არსებობას მსესხებლის მიმართ.
7. თავდები თანახმაა, რომ მსესხებლის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკმა იძულებითი აღსრულება მიმართოს თავდების იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ ბანკმა, პირველ რიგში,

იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფილ ქონებაზე. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს თავდების სხვა ქონებაზე.

## თავი V. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები

თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე მისი წარმოშობა და არსებობა ძირითად ვალდებულებაზეა დამოკიდებული. თავდები სწორედ ამ ძირითადი ვალდებულების ფარგლებში აგებს პასუხს. კრედიტორს თავდების მიმართ იმ შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, რაც ძირითად მოვალეს მართებს მის წინაშე. დაუშვებელია, რომ თავდები დაზარალდეს და იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ძირითად მოვალეს ეკისრება.<sup>53</sup> შესაძლებელია, თავდებმა პასუხისმგებლობა იკისროს არა სრული, არამედ ნაწილობრივი მოცულობით.

კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ აუცილებელია თავდებობის ხელშეკრულებაში ზუსტად მიეთითოს პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა.<sup>54</sup> აღნიშნული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს და ემსახურება იმ მიზანს, რომ შემდგომში თავიდან იქნას აცილებული დავა პასუხისმგებლობის

<sup>53</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:551

<sup>54</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლ 892 (2)

მოცულობასთან დაკავშირებით.<sup>55</sup> „თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე.“<sup>56</sup> პასუხისმგებლობის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა მნიშვნელოვანია, რადგან თავდებმა გაათვითცნობიეროს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული რისკები, ხოლო კრედიტორისთვის წინასწარ იყოს ცნობილი, რა მოცულობით შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა.

თავდების პასუხისმგებლობა არსებობს მანამდე, სანამ იარსებებს ძირითადი ვალდებულება. მისი შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყდება თავდებობაც. ხოლო, თუ ძირითადი ვალდებულება შემცირდება, ეს ავტომატურად გამოიწვევს თავდების პასუხისმგებლობის შემცირებასაც.

რაც შეეხება თავდების პასუხისმგებლობის გაზრდას, მასზე გავლენას ვერ მოახდენს ის ფაქტი, რომ მოვალემ და კრედიტორმა თავდებობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ახალი ხელშეკრულება გააფორმეს ან ხელშეკრულებით გაზარდეს ძირითადი ვალდებულების მოცულობა. შესაბამისად, შემდგომ გარიგებებზე თავდების პასუხისმგებლობა არ ვრცელდება.<sup>57</sup> მოვალეს და კრედიტორს არ შეუძლიათ თვითნებურად გაზარდონ თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები. აღნიშნული ემსახურება თავდების ინტერესების დაცვას და ხელს უწყობს მის საზიანოდ დადებული შეთანხმებების აღმოფხვრას. ახალ ურთიერთობებზე თავდების პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება, თუ თავდები გააფორმებს ახალ თავდებობის ხელშეკრულებას დადგენილი წესის თანახმად.

თავდები ხელშეკრულებაში მითითებული ზღვრული თანხის ფარგლებში პასუხს აგებს ასევე ძირითადი ვალის შინაარსისა და მოცულობის

---

<sup>55</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი, გვ: 433

<sup>56</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლ 898 (1)

<sup>57</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლ 893

ცვლილებისთვის, რომელიც ძირითადი მოვალის ბრალეულმა ქმედებებმა ან მის მიერ შესრულების ვადის გადაცილებამ გამოიწვია. რაც შეეხება ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დარიცხულ პირგასამტეხლოს, თავდებობა მასზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება, თუ ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული. ასევე პირდაპირ შეთანხმებას მოითხოვს კანონი მოვალის მიერ გადახდილ პროცენტზე თავდების პასუხისმგებლობის გავრცელებისთვის. რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლოს ხარჯებს, თავდების პასუხისმგებლობა გავრცელდება, თუკი მას შესაძლებლობა ჰქონდა კრედიტორის დაკმაყოფილებით თავიდან აეცილებინა იგი.<sup>58</sup> აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც კრედიტორმა მიმართა თავდებს ვალდებულების დაკმაყოფილების მოთხოვნით, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ძირითადი მოვალის მიმართ არ ჰქონია ადგილი იძულებითი აღსრულების მცდელობას (894). სწორედ აქედან გამომდინარე, კანონმდებელი თავდებს აკისრებს აღნიშნული ხარჯების ანაზღაურების მოვალეობას.<sup>59</sup> შესაბამისად პასუხისმგებლობის ის ნაწილი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მხარეებს შეუძლიათ გამოერიცხონ ან გაათავართონ, ყველაფერი ეს დამოკიდებულია მათ შორის წინასწარ შეთანხმებაზე. თავდები ყოველთვის თვითონ წყვეტს, რა რაოდენობით იკისრებს პასუხისმგებლობას ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე. შეიძლება ეს იყოს ძირითადი ვალდებულების ტოლფასი ან მასზე ნაკლები, პასუხისმგებლობა კი ყოველთვის დგება ზღვრული თანხის ფარგლებში, რაც შეეხება მოთხოვნას პირგასამტეხლოსა და პროცენტზე, კმაყოფილდება მხოლოდ შეთანხმებით წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში.

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 898 (2)

<sup>59</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:553

თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელია კრედიტორის მიერ თავდებისთვის შეტყობინების გაგზავნა ძირითადი მოვალის მიერ ვადის გადაცილების ან ვალდებულების სხვაგვარად დარღვევის შესახებ. თავდებს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია უზრუნველყოფილი ვალდებულების მდგომარეობის შესახებ. კრედიტორის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისას კანონი ითვალისწინებს უარყოფით შედეგებს, კერძოდ, ის კარგავს თავდების მიმართ მოთხოვნის უფლებას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.<sup>60</sup> შესაბამისად ამ შემთხვევაში თავდები სრულად არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, მხოლოდ მცირდება მისი პასუხისმგებლობის ფარგლები, ისევე როგორც უზრუნველყოფილი მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში.<sup>61</sup>

კოდექსის 902-ე მუხლის დანაწესი საკმაოდ ხშირად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. იმ შემთხვევაში, თუ თავდები უთითებს, რომ არ იყო ინფორმირებული მოვალის მიერ ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით და კრედიტორი ვერ ამტკიცებს საწინააღმდეგოს, სასამართლო თავდებისთვის დასაკისრებელ თანხას ამცირებს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ვალდებულება დარღვევის შეუტყობინებლობის ვადაში გაიზარდა.<sup>62</sup> სასამართლო განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგად დგება და რომელიც არ დადგებოდა კრედიტორს თავდების მიმართ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინა.<sup>63</sup>

<sup>60</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლი 902 (1) (2)

<sup>61</sup> ჭეჭელაძე ი. ზ., სახელმწიფო რეგულაციების დარღვევის შედეგად მოხდის ძირითადი ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებულ გამოცემა, თბილისი, 2020 წელს, გვ: 260

<sup>62</sup> ქეთევან მესხიშვილი-კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელს, გვ: 36

<sup>63</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლს განჩინება საქმეზე #ას-1153-1108-2016

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან ერთ-ერთ საქმეში, მოსარჩელე ითხოვს, რომ თავდებს დაეკისროს როგორც ძირითადი ვალის გადახდა, ასევე ხელშეკრულების დარღვევის გამო დარიცხული პირგასამტეხლო და პროცენტი. სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშავს, რომ კრედიტორს თავდებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების ვადის გადაცილების თაობაზე, აქედან გამომდინარე კრედიტორმა დაკარგა უფლება თავდების წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რა ოდენობითაც გამოიწვევდა ზიანს კრედიტორის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რადგან ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმება. ასევე მოსარჩელეს უარი ეთქვა 10 თვის პროცენტის დაკმაყოფილებაზე 902 (2) მუხლზე დაყრდნობით, იქიდან გამომდინარე, რომ კრედიტორმა დროულად არ აცნობა თავდებს ვალდებულების ვადის გადაცილების შესახებ და სარჩელი აღძრა სასამართლოში ვადის დადგომიდან 10 თვის შემდეგ. დანარჩენ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.<sup>64</sup>

აღნიშნულ საქმეში ნათლად ჩანს 902-ე მუხლის პრაქტიკული განმარტება. ასევე ის, თუ რა შედეგებს იწვევს კრედიტორის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა და რა ფარგლებში მცირდება ამის შედეგად თავდების პასუხისმგებლობა.

---

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ/815-01

## 5.1. თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულება

თავდების პასუხისმგებლობის ძირითადი განმსაზღვრელია მის მიერ ნაკისრი ვალდებულება. თავდები კრედიტორის მიმართ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც ვერ შეასრულა ძირითადმა მოვალემ. კრედიტორის მოთხოვნისა და თავდების პასუხისმგებლობის მთავარ საფუძველს შეიცავს კოდექსის 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. კრედიტორის მოთხოვნის განხორციელების წინაპირობაა თავდებობის ხელშეკრულება და ძირითადი ვალდებულების არსებობა. თავდებობის ხელშეკრულება ცალმხრივია და მისი ძალით თავდებს ეკისრება მოვალეობა, დაუდგეს ძირითად მოვალეს თავდებად კრედიტორის წინაშე.<sup>65</sup> თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მართალია კრედიტორის მოთხოვნის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძირითადი ვალდებულების არსებობა, თუმცა თავდების პასუხისმგებლობის დადგომისთვის ასევე დამდგარი უნდა იყოს ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა. კანონი ხელშეკრულების ფორმასა და მის რეკვიზიტებზე მითითებისას მიზნად ისახავს თავდების დაცვას, თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულება უნდა გამომდინარეობდეს მისი რეალური ნებიდან. იქიდან გამომდინარე, რომ თავდებობა წარმოადგენს პიროვნული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, თავდები პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

თავდებობის მოვალეობა შეიძლება იკისროს როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა, თუმცა კანონი არ გვაძლევს ზუსტ განმარტებას, თუ ვინ შეიძლება იყოს წარმოდგენილი თავდებად. ამ ნაწილში განვიხილავ ახლო ნათესავის მიერ ნაკისრ თავდებობას.

---

<sup>65</sup> ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012 წელი, გვ: 192



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“<sup>66</sup> საინტერესოა, რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული მუხლის სათუქველზე ოჯახის წევრის მიერ ნაკისრი ვალდებულება ბათილად. ცნების განმარტებისას, ახლო ნათესაურ კავშირში მყოფ პირად შეგვიძლია მივიაზროთ: მეუღლე, პარტნიორი, შვილი, და-ძმა, მშობელი და ა.შ. ბუებრივია, აღნიშნული პირებისთვის თავდებობასთან დაკავშირებული რისკების წინასწარ გაანალიზება უფრო რთული იქნება, ვიდრე გარეშე პირისთვის, რომელსაც ძირითად მოვალესთან ასეთი ტიპის ემოციური ბმა არ აკავშირებს. აღნიშნული ტიპის გარიგება შეიძლება ბათილად მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მოვალე თავდებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახორციელებს ხელშეკრულების დასადებად.

ამ კონტექსტში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გარიგების ამორალურად მიჩნევისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტი, თუ რამდენად არის თავიდან აცილებული სხვა პირის მიერ ხელშეკრულების მხარის ნაცვლად ამ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა. შესაბამისად, ასეთი სახის ნების ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულება იქნება ბათილი.<sup>67</sup>

ასევე ბათილი შეიძლება იყოს ახლო ნათესავის მიერ ნაკისრი თავდებობა ამორალურობის გამო, თუ ეს თავდების ფინანსურ მდგომარეობას სრულიად შეუსაბამო და მძიმე ტვირთად აწვება ან კრედიტორი შეგნებულად უმნიშვნელოდ წარმოაჩენს მოსალოდნელ რისკებს.

<sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლი 54

<sup>67</sup> გიორგი რუსიაშვილი/ნინო ქაეშბაია, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ: 10

თავდებობის ამორალურად კვალიფიცირება გამორიცხულია, თუ თავდებს გააჩნია პირადი ეკონომიკური ინტერესი ან სხვა გამართლებული ინტერესი. მაგალითისთვის: მეუღლის მიერ ვალის აღების შედეგად გაუმჯობესდება მეორე მეუღლის, როგორც თავდების და მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა. შეუსაბამოდ მძიმე ტვირთი ან შეუსაბამო ეკონომიკური მდგომარეობა არ გვექნება სახეზე, თუ მოსალოდნელია თავდების ქონებრივი მდგომარეობის გაზრდა. თუმცა აქ უნდა იგულისხმებოდეს რეალური მოლოდინი ქონების გაზრდის და არა მაგალითად: სამკვიდროს მიღების ან სხვა ნაკლებად სავარაუდო მოლოდინი, თუნდაც თავდებობის პასუხისმგებლობის კისრების შემდეგ რეალურად გამართლდეს ის.

უახლესი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თავდების ზემოხსენებული ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქარწყლებს ამორალურობას, როდესაც წერილობით დოკუმენტში თავიდანვე განწერილია, რომ თავდების პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ანუ თუ ეს შემთხვევა არ დადგა, თავდები თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.<sup>68</sup>

## **5.2. პასუხისმგებლობა ზღვრული თანხის ფარგლებში**

იქიდან გამომდინარე, რომ თავდებობის ხელშეკრულება საკმაო რისკებს შეიცავს, აუცილებელია, რომ მითითებული იყოს წინასწარ

---

<sup>68</sup> გიორგი რუსიაშვილი/ნინო ქავშაია, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ: 12

განსაზღვრული თანხა, რა ფარგლებშიც აგებს თავდები პასუხს. თავდებობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი. მაგალითად: დასაშვებია თავდებობის კისრება მხოლოდ მოთხოვნის ნაწილის უზრუნველსაყოფად, რისკების შეზღუდვის სხვა შემთხვევას კი წარმოადგენს ე.წ. ზღვრული თანხის თავდებობა, რომლის შემთხვევაშიც თავდებობის ხელშეკრულებაში ფიქსირდება ის მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც თავდები იღებს პასუხისმგებლობას. აღნიშნული თანხის ზემოთ თავდებს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის რეალური ღირებულება მას აღემატება. ზღვრული თანხა მოიცავს როგორც პასუხისმგებლობას ძირითადი მოთხოვნისთვის, ასევე დამატებითი მოთხოვნებისთვისაც, როგორც არის პროცენტი და პირგასამტეხლო. თავდებობის ხელშეკრულებაში ზღვრული თანხის დაფიქსირების შემდეგ არ შეიძლება მისი პასუხისმგებლობა გაიზარდოს ძირითადი მოვალის მიერ დამატებითი ვალდებულებების აღების ან არსებული ვალდებულების დარღვევის შედეგად. ბათილია ის პირობა, რომელიც ითვალისწინებს ზღვრული თანხის დათქმის შემდეგ მის გაზრდას დამატებითი ხარჯებით.<sup>69</sup> აღნიშნული მისი შინაარსიდანაც გამომდინარეობს და წინააღმდეგ შემთხვევაში ზღვრული თანხის დათქმას აზრი ეკარგება.

თავდებს კრედიტორის წინაშე შესრულების შემდეგ, რა თქმა უნდა, ყოველთვის რჩება რეგრესის წესით ძირითადი მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, თუმცა ხშირ შემთხვევაში ასეთი შესრულება ნაკლებად სავარაუდოა მოვალისგან, რომელმაც საკუთარი ვალდებულება ვერ შესასრულა. ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, თავდები, იქიდან გამომდინარე, რომ ზღვრული

<sup>69</sup> გ. რუსიაშვილ-საქარაფელს სამოქალაქო კოდექსის კომენტარ, მუხლ 898 (1)

ოღენობით არის პასუხისმგებელი, არ აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით.<sup>70</sup> თუმცა აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან თავდებობის პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქონება შეიძლება იქნას გამოყენებული უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, თავდები ყველა შემთხვევაში მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს.

ზღვრული თანხის ფარგლებში თავდებობა ვრცელდება როგორც ძირითად მოთხოვნაზე, ასევე სხვა კანონის საფუძველზე თუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებზე, რისთვისაც სხვა შემთხვევაშიც მოუწევდა თავდებს პასუხისგება.

### **5.3. ვალდებულების დარღვევისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები**

ვალდებულების ვადის გადაცილების ან სხვაგვარი დარღვევის დროს ძირითად მოვალეს ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და პროცენტის გადახდა. აღნიშნულ სანქციებზე თავდების პასუხისმგებლობის გავრცელებისთვის კანონი მოითხოვს სპეციალურ შეთანხმებას. მხარეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ასეთი პირობა, რადგან ეს მოიცავს დამატებით ვალდებულებებს და შესაბამისად, უფრო მეტი რისკის შემცველია. პრაქტიკის ანალიზისას თავდებობის ხელშეკრულების რამდენიმე ნიმუშს გავეცანი, ყველა მათგანში მითითებული იყო პირობა, რომლის თანახმად თავდებზე ვრცელდება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის

<sup>70</sup> შ.ქურდიძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქოკოდექსის 895-ე მუხლს მიხედვით ჟურნალ „ცხოვრება და კანონი“, თბილისი, 2017 წელს, გვ: 118

გათვალისწინებულ სანქციებზე. იქიდან გამომდინარე, რომ კოდექსი იძლევა ამის შესაძლებლობას, საკრედიტო დანესებულებები უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ამ პირობას ხელშეკრულებაში, რადგან ეს მათთვის დამატებითი უზრუნველყოფის საშუალებაა ძირითად ვალდებულებასთან ერთად. დავის შემთხვევაშიც, სასამართლო ყოველთვის შეთანხმებაზე დაყრდნობით წყვეტს დაეკისროს თუ არა თავდებს პასუხისმგებლობა პროცენტსა და პირგასამტეხლოზე.<sup>71</sup>

როგორც აღვნიშნე, საგანგებო შეთანხმებას ვალდებულების დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციაზე თავდების პასუხისმგებლობის გავრცელებისთვის პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს თავდებობის ხელშეკრულება. თუმცა, კანონის ეს ჩანაწერი მოიცავს ასევე იმ შემთხვევასაც, როდესაც ეს საგანგებო შეთანხმება თავდებობის ხელშეკრულების განმარტების გზით გამომდინარეობს. „ანუ თავდები უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონკრეტულ მოთხოვნას მისი დარღვევის კანონისმიერი სანქციებით, არამედ ამ დარღვევისთვის გათვალისწინებულ სახელშეკრულებო სანქციებსაც. საკმარისია, თუ თავდებს უნდა სცოდნოდა ამ სანქციების შესახებ და ევალებოდა მათი გათვალისწინება.“<sup>72</sup>

#### **5.4. თავდების პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილებისთვის**

<sup>71</sup> ა.ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრეტეკაში, (2000-2013), 2014 წელს, გვ: 235

<sup>72</sup> გ.რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლ 898 (2ა)

თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თავდების პასუხისმგებლობის არსებობა პირდაპირ დამოკიდებულია უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე. შესაბამისად, უზრუნველყოფილი მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში ასევე შემცირდება თავდების პასუხისმგებლობა. შეუძლებელია თავდებმა იმაზე მეტი მოცულობით აგოს პასუხი, ვიდრე რეალური მოთხოვნის ღირებულებაა. პასუხისმგებლობის მოცულობა ყოველთვის განისაზღვრება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ტოლფასი ან მასზე ნაკლები ღირებულებით.

რაც შეეხება ვალდებულების გაზრდას, მასზე დარიცხული პროცენტის ან პირგასამტეხლოს გამო, ზემოხსენებული მსჯელობის თანახმად მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თავდებმა ყველა შემთხვევაში წინასწარ უნდა იცოდეს რა მოცულობით უნდა იკისროს პასუხისმგებლობა და რა დამატებით ვალდებულებებზე ვრცელდება იგი. რაც შეეხება უზრუნველყოფილი მოთხოვნის სხვაგვარად გაზრდას, მასზე თავდების პასუხისმგებლობა ვერ გავრცელდება. თავდებობის ხელშეკრულებაში ზღვრული თანხის მითითება სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კრედიტორისა და მოვალის შეთანხმებით ვალდებულების მოცულობის თვითნებურად გაზრდა მძიმე ტვირთად არ დააწვეს თავდებს. თუმცა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულებაზე დაყრდნობით დგინდება, თუ რამდენად გავრცელდება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილებაზე თავდების პასუხისმგებლობა.

კანონი ითვალისწინებს თავდების პასუხისმგებლობის შემცირებას იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი მის საზიანოდ ამცირებს უზრუნველყოფის საშუალებებს და შეღავათებს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობაც მცირდება აღნიშნული შემცირების პირდაპირპროპორციულად.<sup>73</sup> ეკვივალენტურ გერმანულ დანაწესში მითითებულია, რომ თავდების პასუხისმგებლობა მცირდება მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის უფლებამოსილი

<sup>73</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 901

იყო მოეთხოვა რეგრესი უზრუნველყოფის გამცემისგან,<sup>74</sup> თუმცა ქართული დანაწესი ამ საკითხს არ აკონკრეტებს.

არსებობს მოსაზრება, რომ თავდებობა ძირითადად კრედიტორის ინტერესების დაცვას ემსახურება, თუმცა, ასე ცალსახად ნამდვილად ვერ ვიტყვით, ნათლად ჩანს, რომ კანონმდებელი როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის, ასევე პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში თავდების ინტერესებს ნამდვილად ითვალისწინებს. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ესა თუ ის ნორმა სწორედ თავდების ინტერესებიდან ამოდის და იცავს მას არასასურველი შედეგებისგან. სწორედ ერთ-ერთ ასეთ რეგულირებად გვევლინება კოდექსის 901-ე მუხლი. აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული თავდების დაცვის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კოდექსის 905 (უკუმოთხოვნა) და 201, 207 (მოთხოვნის დათმობა) მუხლებიდან გამომდინარე თავდების მოთხოვნის განხორციელება არ გართულდეს. თუ კრედიტორი შეძლებდა უზრუნველყოფის საშუალებათა შემცირებას, აღნიშნული თავდების პასუხისმგებლობის გაზრდას გამოიწვევდა. თავდების მოთხოვნის შემცირებაზე გავლენას ვერ მოახდენს კრედიტორის მხრიდან საგირავნო უფლებების, უზრუნველყოფის საშუალებების და შეღავათების შემცირება, თუ ისინი 905-ე მუხლიდან გამომდინარე თავდების უფლების განხორციელებაზე გავლენას არ ახდენენ.

901-ე მუხლის რეგულირება დისპოზიციური ხასიათისაა და შეთანხმებით შესაძლებელია შემცირების შედეგები მხარეებმა სხვაგვარად დაარეგულირონ.<sup>75</sup>

---

<sup>74</sup> German Civil Code-BGB-Title 20-Suretyship, 776 (1) -[www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)

<sup>75</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:560

## თავი VI. თავდების უფლებები და შესაგებელი კრედიტორის მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ თავდებობის ხელშეკრულების თავდები კისრულობს ვალდებულებას, პასუხი აგოს კრედიტორის წინაშე მოვალის მაგივრად, კანონმდებელი მას ანიჭებს კრედიტორის მოთხოვნისგან თავდაცვის საშუალებებსაც. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას კი წარმოადგენს თავდების მიერ შესაგებლის წარდგენის უფლება. შესაგებელი მოვალის შემხვედრი უფლებაა, რომელიც შესრულებაზე დროებით ან ხანგრძლივად უარის თქმის საშუალებას იძლევა. კოდექსი თავდებს აძლევს უფლებას, გამოიყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. აღნიშნული უფლება აქტიურია იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად ძირითადი მოვალე უარს ამბობს მათ გამოყენებაზე. ამ რეგულირების საფუძველია თავდებობის აქცესორულობა.

კანონმდებელი 899-ე მუხლის რეგულირებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თავდებობა სხვისი ვალის შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება, შესაბამისად კრედიტორს თავდების მიმართ უფლების განხორციელების თვალსაზრისით იმაზე უპირატესი უფლებები არ უნდა ჰქონდეს, ვიდრე ძირითადი მოვალის მიმართ აქვს. შესაგებლის უფლებაში მოიაზრება ყველა ის შესაგებელი, რაც ძირითად მოვალეს შეიძლება ჰქონდეს კრედიტორის მიმართ. თავდების ეს უფლება არსებობს მანამდე, სანამ მოვალეს გააჩნია. როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითადი მოვალის უარი შესაგებელზე და მოქმედებს თავდების მიერ ამ უფლების გამოყენებაზე. ამით კანონმდებელი თავიდან არიდებს თავდებს დაზარალებას და იცავს ძირითადი მოვალის მხრიდან არაპროგნოზირებადი ქმედებებისგან. მაგალითად, თუ კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ ხანდაზმულია, მაგრამ ძირითადი მოვალე ამაზე არ უთითებს, თავდებს



უფლება აქვს კრედიტორს უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის საბაბით. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ძირითადი ვალის გადახდის ვადის დადგომიდან და შეადგენს სამ წელს. თუკი მოვალე დაკარგავს უფლებას შესაგებელზე, ასევე დაკარგავს თავდებიც. თავდების მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება მის ნებაზეა დამოკიდებული.<sup>76 77</sup>

თავდების უფლება შესაგებელზე უფრო მეტად აფართოებს მის უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, თავდების უფლებები შეიძლება დაიყოს საკუთარ და არაპირდაპირ, ე.წ დერივატიულ უფლებებად. თავდებს შეძენილი უფლების გამოყენება შეუძლია ისე, როგორც საკუთარის. კოდექსის 899-ე მუხლი თავდებს მოქმედების უფრო მეტ საშუალებას აძლევს, თუმცა მას ასევე შეუძლია უარი თქვას აღნიშნული შესაგებლის იფლების გამოყენებაზე თუ ეს თავდებისთვის საზიანო შედეგებს მოიტანს.

გამონაკლისს თავდებობის აქცესორული ბუნებიდან წარმოადგენს კოდექსის დანაწესი, რომლის თანახმად, „თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.“<sup>78</sup> აღნიშნული ემსახურება კრედიტორის ინტერესის დაცვას ძირითადი მოვალის მხრიდან დაკმაყოფილების მიუღებლობის შემთხვევაში. კოდექსის 899-ე მუხლის როგორც 1-ლი, ასევე მეორე ნაწილი სრულად წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 768 (1,2) პარაგრაფის ანალოგს.<sup>79</sup>

---

<sup>76</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:554

<sup>77</sup> ჭანტურია.ლევანის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელი, გვ:194

<sup>78</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლი 899 (1)

<sup>79</sup> German Civil Code-BGB-Title 20-Suretyship, 768 (1,2) -www.gesetze-im-internet.de

## 6.1. თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე

კოდექსის 894-ე მუხლის საფუძველზე, თავდებს შეუძლია უარი უთხრას კრედიტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სანამ კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. აღნიშნული შესაგებელი უკვე განვიხილეთ სოლიდარული თავდებობის ნაწილში. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია კოდექსის მე-900 მუხლით გათვალისწინებული დერივატიული შესაგებელი, რომლის თანახმად, „თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს, სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძველად უდევს მის ვალდებულებას.“<sup>80</sup> აღნიშნული ისეთ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც, მაგალითად მოვალეს შეუძლია იდავოს მასსა და კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობაზე. თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, სრულიად სამართლიანია, რომ ასეთ დროს კანონმდებელი თავდებს ანიჭებს უფლებას უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თავდების პასუხისმგებლობა პირდაპირ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე და ეს პასუხისმგებლობა რეალურად არ არსებობს მანამდე, სანამ ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობა სადავოა. ბათილობასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში თავდებს არ შეუძლია მოვალის უფლების გამოყენება, თუმცა კანონი ასეთი დანაწესით იცავს მას არასასურველი შესრულებისგან. იმის გამო, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევა, როდესაც თავდები კრედიტორის წინაშე შეასრულებდა მოვალის ვალდებულებას, ხოლო შემდეგ მოვალე იდავებდა ძირითადი ვალდებულების ნამდვილობის საკითხზე და მიაღწევდა წარმატებას, გამოვიდოდა, რომ თავდებმა შეასრულა არარსებული ვალდებულება,

<sup>80</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელს, მუხლ 900

შესაბამისად წარმოეშობოდა შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე. კოდექსის მე-900 მუხლი კანონმდებელმა სწორედ თავდების ასეთი მდგომარეობისგან დასაცავად შექმნა. ბუნებრივია, თუკი მოვალე არ გახდის სადავოდ ძირითად გარიგებას, თავდებიც დაკარგავს კრედიტორის მიმართ დაკმაყოფილებაზე უარის უფლებას.<sup>81</sup>

თუ დავა მიმდინარეობს სასამართლოში, თავდებს შეუძლია კრედიტორს დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადოს სასამართლო დავის დასრულებამდე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ დავა მოვალის სასარგებლოდ დასრულდება, თავდები სრულიად თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. თუ არ არსებობს ძირითადი ვალდებულება, აღარც თავდებობა იარსებებს. კანონი აღნიშნული დანაწესით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თავდებობის მჭიდრო კავშირს უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან, მეორე მხრივ კი განამტკიცებს თავდების სამართლებრივ მდგომარეობას და მას საკუთარი ინტერესების დაცვის მეტ შესაძლებლობას ანიჭებს.<sup>82</sup> ხელშეკრულების პირობა, რომელიც თავდების მიერ აღნიშნული შესაგებლის გამოყენებას გამორიცხავს, კოდექსის 346-ე მუხლის საფუძველზე ბათილია.

## **თავი VII. თავდებობის გამიჯვნა მსგავსი ინსტიტუტებისგან**

თავდებობას თავისებური ბუნება, მომწესრიგებელი ნორმები და სამართლებრივი შედეგები გააჩნია, მიუხედავად ამისა, მას საკმაოდ ბევრი საერთო აქვს სხვა მომიჯნავე ინსტიტუტებთან. განმასხვავებელი ნიშნებიც

---

<sup>81</sup> ი.რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ: 556

<sup>82</sup> ჭანტურია.ლევონის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელი, გვ:196

მრავლადაა, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც საკამათოა, თუ რეალურად რა ტიპის გარიგებასთან გვაქვს საქმე.

ვალის თავის თავზე ამღები სუბიექტი თავდები არ არის. იგი ვალდებულების შესრულებას კისრულობს ისე, რომ აღნიშნულ ვალდებულებას თავისად მიიჩნევს. მას ვალდებულების მიმართ საკუთარი სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინტერესი აქვს. თავდებობის ურთიერთობის ყველა ეტაპზე კი თავდებმა ყოველთვის იცის, რომ რეალურად მოვალის მიერ ვერშესრულებულ ვალდებულების შესრულება ეკისრება. ვალის თავის თავზე აღების დროს ხდება ვალის გადაკისრება, შესაბამისად, მისი ნამდვილობისთვის აუცილებელია კრედიტორის თანხმობა, რადგან მის წინაშე შესრულებაზე ვალდებული სუბიექტი ხდება ვალის თავის თავზე ამღები. თუ კრედიტორი არ დაეთანხმა, ვალის თავის თავზე ამღები მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საეჭვოობის შემთხვევაში კი, ადგილი აქვს თავდებობას თუ ვალის საკუთარ თავზე აღებას, საკითხი თავდებობის სასარგებლოდ წყდება.<sup>83</sup>

შედარებით უფრო ახლოს არის თავდებობასთან ვალის თანაკისრება, უფრო მეტად კი თავდებობასთან სოლიდარული პასუხისმგებლობით. ვალის გადაკისრებისგან განსხვავებით, თანაკისრებისას ძალაში რჩება მოვალის ვალდებულება. თანამკისრებელი წარმოდგენილია თავდაპირველი მოვალის გადახდისუნარობის რისკის შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ვალის თანაკისრების ინსტიტუტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ არის მონესრიგებული, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ დადონ მსგავსი გარიგება, რაც გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში არც ისე იშვიათია. ვალის თანაკისრების შედეგად თავდაპირველი და ახალი მოვალე ხდებიან სოლიდარული მოვალეები. აღნიშნული ტიპის გარიგება გამოიყენება არა

<sup>83</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარულს აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი, გვ: 41

მხოლოდ საკრედიტო ურთიერთობებში, არამედ მაგალითად: საერთო საცხოვრებელი ფართის ქირავნობისას. ვალის თანაკისრებას, თავდებობისგან განსხვავებით, არ აქვს სუბსიდიარულობის მომენტი, კრედიტორს შეუძლია არჩევანი გააკეთოს თუ რომელი მოვალისგან მიიღებს შესრულებას, სუბსიდიარული თავდებობის შემთხვევაში კი გვაქვს თავდების დამცავი შესაგებელი, იძულებითი აღსრულების განხორციელებამდე კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის სახით. პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, ვალის თანაკისრებაზე ანალოგიით არ ვრცელდება თავდებობისთვის გათვალისწინებული ფორმის მოთხოვნა. თანამკისრებლისგან განსხვავებით, თავდები უმეტეს შემთხვევაში იმედოვნებს, რომ საქმე მის პასუხისმგებლობამდე არ მივა.<sup>84</sup>

რაც შეეხება გარანტიას, იგი მსგავსად თავდებობისა, უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებაა. ერთი შეხედვით ნამდვილად ჰგავს თავდებობას, რადგან ორივე მათგანი უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებაა და როგორც თავდებს, ასევე გარანტს, მესამე პირის ვალდებულებებზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა. თუმცა, თავდებობისგან განსხვავებით, გარანტის მიერ გაცემულია ცალმხრივი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია პირობები, რომელიც გარანტის მიერ თანხის გადახდის საფუძველია. გარანტია აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად.<sup>85</sup>

თავდებობისგან განსხვავებით, საბანკო გარანტია არ არის უზრუნველყოფის აქცესორული საშუალება. ის წარმოადგენს დამოუკიდებელ დაპირებას, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ვალდებულების უზრუნველსაყოფად არის შეთანხმებული (881 მუხლი). შესაბამისად,

<sup>84</sup> გ.რუსიაშვილი, სამოქალაქოკოდექსის კომენტარი, მუხლ 891

<sup>85</sup> ნ.ლაპარტია, სადისერტაციოთუმა: საბანკოგარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2018 წელი, გვ: 55

ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა არ იწვევს საბანკო გარანტიის შეწყვეტას.

86

საბანკო გარანტიას არ გააჩნია სუბსიდიარული ბუნება. გარანტს არ აქვს უფლება კრედიტორს მოსთხოვოს ჯერ მოვალისგან დაკმაყოფილების მიღება და მხოლოდ ამის შემდეგ დააკმაყოფილოს თავად. ასევე არ არის გათვალისწინებული გარანტიისა და პრინციპალის სოლიდარული პასუხისმგებლობა ბენეფიციარის წინაშე. მიუხედავად საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობისა, მას გააჩნია გამოყენების წინაპირობა, კერძოდ, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება. გამონაკლისია მხოლოდ უპირობო გარანტია, რომლის დროსაც გარანტი ბენეფიციარს მოთხოვნისთანავე აკმაყოფილებს, ვალდებულების დარღვევის პირობის გარეშე. იმისათვის, რომ გარანტმა მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს, აუცილებელია დადგეს შემთხვევა, რომლის მიზნებისთვისაც გარანტია შეთანხმდა. ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით. მართალია გარანტი ამ შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს მატერიალურსამართლებრივად არ ამოწმებს, თუმცა ბენეფიციარის აშკარა არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში გარანტმა ბენეფიციარს თანხა არ უნდა გადაუხადოს. აქ იგულისხმება ის ფაქტი, როდესაც ჯეროვანი შესრულების მიუხედავად გარანტი მაინც ითხოვს შესრულებას. ქართული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მიუხედავად საბანკო გარანტიის არააქცესორულობისა, მის მართლზომიერად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა მოხდეს გარანტიით

---

<sup>86</sup> ჭანტურა. ლეკუტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წელი, გვ: 208

განსაზღვრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტი მიიღებს უარს დაკმაყოფილებაზე.<sup>87</sup>

აღსანიშნავია, რომ თავდებობის ურთიერთობის მსგავსად, გარანტი რეგრესის წესით ანაზღაურებს განხორციელებულ შესრულებას პრინციპალისგან. თუმცა თუ გარანტმა შესრულება განახორციელა გარანტიის პირობების დარღვევით ან არაკეთილსინდისიერად, პრინციპალი რეგრესული ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლდება. ასევე რეგრესის წესით ანაზღაურების წინაპირობაა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და ზოგადად, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების მიზნებსა და ამოცანებს.<sup>88</sup>

თავდებობის მომიჯნავე ინსტიტუტების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის განსჯისას, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მათ შორის ბევრი საერთო ნიშნისა, განსხვავების დანახვა არც ისე რთულია. თუმცა ხშირ შემთხვევაში პრაქტიკაში უფრო რთული გასამიჯნია, რადგან განსხვავება მცირე დეტალებშია. რეალურად, მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტების შედარებისას უფრო უკეთ გამოჩნდა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი თავდებობის ხელშეკრულების ფორმა, ნამდვილობის წინაპირობები, აქცესორული ბუნება, პასუხისმგებლობის სახეები, სწორედ ასეთი დეტალები როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლიობაში გვეხმარება გავმიჯნოთ ერთმანეთის მსგავსი გარიგებები.

---

<sup>87</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარულს აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი, გვ: 43

<sup>88</sup> თბილისის სააპელაციოსასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლს გადაწყვეტილება საქმეზე #2ბ/3772-14

## თავი VIII. თავდებობის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

თავდებობის ინსტიტუტი აქტიურად გამოიყენება რომის სამართლიდან მოყოლებული დღემდე. ის მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. კონტინენტური ევროპის ყველა ქვეყნის სამოქალაქო-სამართლებრივ კანონმდებლობაში კანონმდებლობაში ასახულია თავდებობის მომწესრიგებელი ნორმები. თანამედროვე სამართლებრივმა სისტემებმა სწორედ რომის სამართლიდან გადმოიღეს თავდებობასთან არსებული მიდგომა და მისი არსი დღემდე უცვლელია. თუმცა განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ნორმები მცირე დეტალებით. მაგალითად, საფრანგეთის კანონმდებლობით თავდებობას არ გააჩნია ფორმასავალდებულოობის მოთხოვნა. მისი ფორმა გარიგების თეობაზე არსებულ ზოგად ნორმებს ესადაგება. თუმცა, ფრანგული კანონმდებლობით, თავდებობის წარმოშობისთვის მხედველობაში მიიღება თავდების გადახდისუნარიანობა. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკმარისი ქონება იმისთვის, რომ უზრუნველყოს ვალდებულება. ასევე უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი იმ სასამართლოს ტერიტორიულ ერთეულში, სადაც გაიცემა თავდებობა. ფრანგული კოდექსის რეცეფციის შედეგია ასევე იაპონიისა და ბელგიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებიც თავდებობის ხელშეკრულებასთან მიმართებით.

იტალიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებიც, ფრანგულის მსგავსად არ შეიცავს ფორმასთან დაკავშირებულ დებულებებს, ამიტომ სავარაუდოა, რომ მასზეც გარიგების ფორმასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები გამოიყენება. თავდებობა ვრცელდება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ ყველა აქცესორულ ვალდებულებაზე. იტალიის კანონმდებლობის თანახმად, თავდებობა გულისხმობს სოლიდარულ



პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს თავდების, როგორც სუბსიდიარულ, ასევე სოლიდარულ პასუხისმგებლობას. მარტივი თავდებობისას კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს თავდებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძირითადი მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას და სარჩელის წარდგენის შემდეგ კრედიტორი ვერ მიიღებს დაკმაყოფილებას. სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში კი კრედიტორის არჩევანზეა დამოკიდებული, თუ ვის მიმართავს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ძირითად მოვალეს თუ თავდებს. აღნიშნული წესი მოქმედებს მაშინაც, როცა თავდებობა სავაჭრო გარიგებას წარმოადგენს და რამდენიმე თავდების აარსებობისას შეუძლია თითოეულს წარუდგინოს მოთხოვნა კრედიტორმა თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების ფარგლებში. თავდებობა ყველა შემთხვევაში აქცესორულია და პიროვნულ ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

რაც შეეხება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისინი ანგლოამერიკული სამართლის სისტემის წარმომადგენლები არიან, შესაბამისად საკანონმდებლო მონწესრიგებაც შედარებით განსხვავებულია. თავდები ვალდებულია, პასუხის აგოს ძირითადი მოვალის ნაცვლად, როდესაც ის ვერ შეასრულებს ვალდებულებას. თუმცა, თავდების პასუხისმგებლობის საკითხი არ არის დამოკიდებული იმაზე, კრედიტორმა შეატყობინა თუ არ მას ძირითადი მოვალის ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, ან მიიღო თუ არა კრედიტორმა ზომები მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, კონტინენტური ევროპის სამართალში დამკვიდრებული პრინციპებისგან განსხვავებით, ინგლისური სამართალი თავდებს არ აძლევს საშუალებას უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნაზე მოვალესთან გადამისამართებაზე აპელირებით. თავდები,

რომელსაც კრედიტორმა წარუდგინა სარჩელი, უფლებამოსილია, რომ კრედიტორს წარუდგინოს ძირითადი მოვალის მოთხოვნები.<sup>89</sup>

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. მხარეებს ხელშეკრულებით შეუძლიათ განსაზღვრონ ნებისმიერი კანონით მოწესრიგებული პირობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. კანონი ძირითად შემთხვევებში მიზნად ისახავს თავდების უფლებების დაცვას. თავდებს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ დავდებობა მძიმე ტვირთად აწევს მას და წინააღმდეგობაში მოდის მის გადახდისუნარიანობასთან.<sup>90</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 766-ე პარაგრაფის დანაწესი მოითხოვს თავდების წერილობით განცხადებას თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის. ასევე თავდებობის ურთიერთობის რეგულირება მოცემულია სავაჭრო კოდექსის ნაწილშიც. პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსსაც გააჩნია გერმანული კოდექსის გავლენა და მსგავსი რეგულაციები, თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელ ნორმებს შეიცავს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი.

როგორც ჩანს, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაზე იგრძნობა გერმანული სამოქალაქო კოდექსის გავლენა, აღნიშნული ასევე ნათლად ჩანს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. რომის სამართლიდან მოყოლებული თავდებობა აქტუალურობას არ კარგავს და ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ინსტიტუტია, მითუმეტეს დღესდღეობით, უამრავი საკრედიტო დაწესებულების პირობებში.

<sup>89</sup> ნ. სვანაძე, „თავდებობა როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით“ ურჩაოლ სამართალ #1-2, 2004 წელს, გვ: 34-35

<sup>90</sup> Mel Kenny, exploring the Uncommon core, comparative analysis of Surety Agreements across Europe, Bremen, 2009, p: 16

## თავი IX. თავდებობისგან გათავისუფლების საფუძვლები

კანონი ითვალისწინებს არა მხოლოდ თავდებობის შეწყვეტას, არამედ თავდების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობასაც. თავდებობის ვალდებულებისგან გათავისუფლება შეიძლება მოხდეს არა მარტო მაშინ, როცა პირი თავდებობას კისრულობს ძირითადი მოვალის დავალებით, არამედ მაშინაც, როცა დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვისთვის ხდება პირის თავდებად ცნობა და მას მიენიჭება რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ.<sup>91</sup> ორივე შემთხვევაში კანონმდებელი ყურადღებას უთმობს თავდების ინტერესებს. კოდექსის 904-ე მუხლით მოწესრიგებულია თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული ურთიერთობა, რომელსაც არ არეგულირებს თავდებობის ხელშეკრულება. რადგან დავალების ხელშეკრულების ნორმები არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას, კანონმდებელი მხედველობაში იღებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ რისკებს და არ ზღუდავს თავდების უფლებას, შეწყვიტოს დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. 904-ე მუხლის დანაწესი იცავს თავდებს ისეთი შემთხვევისგან, როდესაც მას კრედიტორი ჯერ არ დაუკმაყოფილებია. თუმცა, ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის კანონით განსაზღვრულია სპეციალური საფუძვლები. ერთ-ერთი მათგანია ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, რომლის შემთხვევაში უნდა არსებობდეს სამართლებრივი დოკუმენტები, რაც თავდებობის არაპერსპექტიულობაზე მიუთითებს, უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების მომენტში არსებულ ქონებრივ მდგომარეობასთან შედარება. თუკი აღნიშნული უფლების განხორციელებამდე მოვალის ქონება კვლავ გაუმჯობესდება, თავდები

<sup>91</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მუხლი 904 (1)

დაკარგავს გათავისუფლებისგან მოთხოვნის უფლებას. ასევე გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს ძირითადი მოვალისგან გადახდევინების გაძნელება ადგილსამყოფელის შეცვლის გამო. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ძირითადი მოვალე გარკვეული დროის მანძილზე ასრულებდა ვალდებულებას, თუმცა ის შეწყდა და ჩანს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. მესამე საფუძველს წარმოადგენს კრედიტორისთვის თავდებისგან შესრულებაზე მოთხოვნის წაყენების სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტის არსებობა. ასეთ შემთხვევაში თავდებობის შენარჩუნებას აზრი აღარ აქვს და დოკუმენტში მითითებულ მოვალეობათა აღსრულების შემდეგ პირი უნდა გათავისუფლდეს თავდებობისგან. იმ შემთხვევაში, როცა თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, ვალდებულებისგან გათავისუფლების მოთხოვნა გამორიცხულია. 904-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული საფუძვლების რეალური არსებობა სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა დაადგინოს. ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა, შესაბამისად, ძირითადად მოვალემ და თავდებმა შეთანხმებით შეიძლება გამორიცხონ ზემოაღნიშნული საფუძვლები ან პირიქით, განავრცონ.<sup>92</sup>

904-ე მუხლში გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, მოვალე ვალდებულია თავდები გაათავისუფლოს ვალდებულებისგან კრედიტორის მხრიდან შესაძლო მოთხოვნის წარდგენის რისკისგან. მას შეუძლია თავდების ვალდებულება შეწყვიტოს კრედიტორის დაკმაყოფილებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას გათავისუფლების ნაცვლად. აღნიშნული სრულიად უზრუნველყოფს

<sup>92</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, რედაქტორი-გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, გვ:566

თავდებზე გადასული კრედიტორის ძირითადი მოთხოვნის განხორციელებას. რისკი იმისა, რომ თავდები ველარ შეძლებს 905-ე მუხლით მასზე გადასული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, აღარ არსებობს, შესაბამისად, არც თავდებობისგან გათავისუფლების უფლება წარმოიშობა. ამგვარი უზრუნველყოფის მიცემა მხოლოდ მოვალის ნებაზეა დამოკიდებული.

904-ე მუხლთან მიმართებით, შესაძლოა, პრობლემად მივიჩნიოთ ის ნაწილი, რომლიდანაც განმარტებით გამომდინარეობს, რომ თავდებს განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლია თავდებობისგან გათავისუფლების მოთხოვნა, თუნდაც სასამართლოში დავის მიმდინარეობისას. ქართულ კოდექსში დაკონკრეტებული არ არის ასევე თუ ვისგან უნდა მოითხოვოს თავდებმა გათავისუფლება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალოგიურ ნორმაში (775 პარაგრაფი (1)) მითითებულია, რომ თავდებს შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს გათავისუფლება.<sup>93</sup> ქართული ვერსიის თანახმად იგულისხმება, რომ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი პირის თუ ორგანოს წინაშე შეუძლია თავდებს გათავისუფლების მოთხოვნა, რეალურად კი ასეთე მოთხოვნის უფლება მხოლოდ მოვალის მიმართ აქვს და ამ ფორმალობის დაუცველობის შემთხვევაში იგი კვლავ ვალდებულია რჩება თავდებობაზე.<sup>94</sup>

<sup>93</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებულ გამოცემა, მთარგმნელ ზ. ჭეჭელაშვილ, თბილისი, 2019 წელს

<sup>94</sup> ზ. ჭეჭელაშვილ, სახელმწიფო უსამართლო (შედარებითსამართლებრივი კვლევა ძირითად ქართულ სამართალს საფუძველზე მესამე გადამუშავებულ გამოცემა, თბილისი, 2020 წელს, გვ: 26

## თავი X. თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა

თავდებობის შეწყვეტის მიმართ გამოიყენება ვალდებულების შეწყვეტის ზოგადი წესები, რა თქმა უნდა, თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების სპეციფიკის გათვალისწინებით. თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეწყვეტა ძირითადი ვალდებულების შეწყვეტაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების შეწყვეტისას, ავტომატურად შეწყდება თავდებობაც. ვალდებულების შესრულების ზოგადი წესების თანახმად, ძირითადი მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულება იწვევს როგორც ვალდებულების, ისე თავდებობის შეწყვეტას. ამ შემთხვევაში თავდები იკავებს კრედიტორის ადგილს და ხდება ძირითადი ხელშეკრულების კრედიტორი, მოვალის ვალდებულება კი ძალაში რჩება. თავდებობის ვალდებულება კი აღარ არსებობს, რადგან შეუძლებელია პირი საკუთარ თავს დაუდგეს თავდებად.

თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება დადებული იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. თუ ხელშეკრულება კონკრეტული ვადით არის დადებული, ის ავტომატურად შეწყდება ამ ვადის გასვლისთანავე. რაც შეეხება უვადო თავდებობის ხელშეკრულებას,

კანონმდებელი აქაც აძლევს თავდებს საშუალებას, რომ შეწყვიტოს იგი სამთვიანი ვადის დაცვით. ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნიდან სამი თვის ვადაში უნდა დაკმაყოფილდეს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება. 903-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, თავდებს შეუძლია თავიდან აირიდოს დროში შეუზღუდავი პასუხისმგებლობის რისკი. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავდებობაც შეიძლება შეწყდეს მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში, თუ უკვე ხუთ წელზე მეტი დროა გასული.

თავდებობა შეწყვეტილად უნდა იქნას მიჩნეული ასევე ვალის გადაკისრების შემთხვევაში, როდესაც მოვალის ადგილს მესამე პირი იკავებს. პიროვნული უზრუნველყოფის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავდები კონკრეტული მოვალის ვალდებულებას უზრუნველყოფს, შესაბამისად, თავდების თანხმობის გარეშე მოვალის შეცვლისას თავდებობა წყდება. ამ შემთხვევაში თავდების განსხადებისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, რომ იგი თანახმაა განაგრძოს თავდებობა. თუმცა, იგივე წესი არ უნდა გავრცელდეს მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, რადგან მის ადგილს იკავებს უფლებამონაცვლე (მემკვიდრე), შესაბამისად ხელშეკრულება რჩება ნამდვილი და განაგრძობს არსებობას. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მემკვიდრეები შეზღუდულად აგებენ პასუხს.<sup>95</sup> რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც კრედიტორი მოთხოვნას უთმობს სხვა პირს, კანონის ძალით თავდებობაც ამ პირზე გადავა.

ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის მიუხედავად, თავდების ვალდებულება შეიძლება როგორც შეწყდეს, ასევე გათავისუფლდეს იგი პასუხისმგებლობისგან და შეუმცირდეს პასუხისმგებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები კანონით განსაზღვრული წინაპირობები და საფუძვლები. ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტის

<sup>95</sup> ქეთევან მესხიშვილ-კერძოსამარულს აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი, გვ: 48

შემთხვევაში თავდები ვალდებულია შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე ჰქონდა ნაკისრი.<sup>96</sup>

## დასკვნა

აღნიშნული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა თავდებობის მნიშვნელოვანი როლი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში. დღესდღეობით აღნიშნული ინსტიტუტი დღითიდღე უფრო აქტუალური და ხშირად გამოყენებადი ხდება, რაც განპირობებულია იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში საკრედიტო დანესებულებების მიერ აღარ ხდება სესხების გაცემა უზრუნველყოფის გარეშე. ეს კრედიტორისთვის დამცავ მექანიზმს წარმოადგენს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგან თავდებობის სახით ის ვალდებულების შესრულების დამატებით უზრუნველყოფას იღებს. კვლევაზე დაყრდნობით დადგინდა თავდებობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხარვეზები საკანონმდებლო ნორმებში და არსებულ პრაქტიკაში.

თავდებობის აქტუალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია წარმოიშობა მთელი რიგი პრობლემები, დავა მხარეთა შორის და შესაბამისად მოიმატა სასამართლოსადმი მიმართვამ. ნაშრომში საინტერესოა ის საფუძვლები, რომლებიც ზრდის ან ამცირებს თავდების ზღვრული პასუხისმგებლობის ფარგლებს. აღნიშნული ძირითადად გამომდინარეობს მხარეთა შორის შეთანხმებიდან და სასამართლოც ამ შეთანხმებაზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს. სწორედ ამიტომ არის კანონმდებლის მოთხოვნა ხელშეკრულების წერილობითი ფორმა და მისი სავალდებულო რეკვიზიტები, ეს გარკვეულწილად დავის თავიდან არიდების მიზანს ემსახურება. თავდები კი, სანამ ხელშეკრულებას დადებს, დეტალურად უნდა გაეცნოს მას, გააანალიზოს მოსალოდნელი რისკები, საკუთარი გადახდისუნარიანობის შესაბამისობა ნაკისრ პასუხისმგებლობასთან, რომ

<sup>96</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლ 903 (3)



შემდეგ მძიმე ტვირთად არ დაანვეს ვალდებულება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც თავდები უარს ვერ ამბობს ხელშეკრულების დადებაზე ემოციური კავშირის გამო, ისეთი როგორცაა მეგობრობა, ნათესაობა, პარტნიორობა, შემდეგ კი გაუცნობიერებლად და მოულოდნელად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. კანონმდებელი თავდებობის მომწესრიგებელი ნორმებით ყველანაირად ცდილობს თავდების დაცვას და მისი ინტერესების გათვალისწინებაც, ამის ერთ-ერთი მაგალითია მისთვის კანონით გათვალისწინებული შესაგებლებიც წარდგენის უფლების მინიჭება. თუმცა, თუკი მოვალე ვერ ასრულებს ვალდებულებას კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი თანხის იძულებით ამოღების თაობაზე. აღნიშნულ ფურცელში მოვალედ დასახელებულია თავდები, შესაბამისად ვალის გადახდა მას ეკისრება. აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, თავდებობის საკითხთან დაკავშირებით შემოსული სააღსრულებო საქმეებიდან დაახლოებით 30-40 %-ს თავდები ფარავს. თუმცა კანონი თავდებს აძლევს უფლებას, ძირითადი მოვალისგან რეგრესის წესით მოითხოვოს შესრულებული ვალდებულების მიღება. შესაბამისად, იგი იკავებს კრედიტორის ადგილს და თავდებობაც წყდება.

თავდებობა პიროვნულ უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს, შესაბამისად ძირითადი მოვალის შეცვლისას (მაგ:ვალის გადაკისრება) პირს შეუძლია უარი გადაცხადოს თავდებობაზე. მნიშვნელოვანია ასევე თავდებობის აქცესორული ბუნება, რადგან თითქმის ყველა ასპექტში გამოიკვეთება, როგორც თავდებობის წარმოშობის, არსებობის, ასევე პასუხისმგებლობის ნაწილში და თავდებობის შეწყვეტისას.

დღესდღეობით, უმეტეს შემთხვევებში ფორმდება თავდებობის ხელშეკრულება სოლიდარული პასუხისმგებლობით. მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ნაწილში ნაშრომში წარმოდგენილია კომერციული ბანკის სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ნიმუში, რაც პრაქტიკაში

აღნიშნულ ასპექტებს უკეთესად წარმოაჩენს. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ის წინაპირობები, რაც ნამდვილს ხდის თავდებობის ხელშეკრულებას და ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სასამართლოს მოსაზრება, თუ რა დოკუმენტია საკმარისი, რომ თავდებობის ხელშეკრულება ჩაითვალოს ნამდვილად. ნაშრომი ასევე შეიცავს არასრულწლოვანთა და ოჯახის წევრების თავდებობის ასპექტებს, თუმცა ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი თავები ეხება ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობებს, მათ მიზნებს, თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებს, მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას. წინა პლანზე არის წამოწეული თავდების უფლებები და შესაგებლები, თავდებობისგან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. ქართულ კანონმდებლობასთან ერთად, აღნიშნული საკითხების ნაწილი შედარებულია გერმანულ კოდექსთან, ასევე სასამართლო პრაქტიკასთან, რაც საკითხის უკეთ აღქმის შესაძლებლობას ქმნის. კვლევაში მოცემულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან და ასევე თავდებობის შედარება მომიჯნავე ვალდებულებით-სამართლებრივ ინსტიტუტებთან. აღნიშნულ ნაწილში გამოვლინდა, როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები, თუმცა მცირე დეტალებით უფრო მეტად წარმოჩინდა თავდებობის განსაკუთრებული ბუნება.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ნათლად წარმოაჩენს თავდებობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი მოგვარების შესაძლო გზებს, მხარეთა ინტერესების დაცვას და სასართლო დავის თავიდან არიდების გზებს. თავდების როლი პრაქტიკულად იმდენად დიდია, რომ მან ყველა შემთხვევაში უნდა იცოდეს რა მოცულობის პასუხისმგებლობა ელის და ზოგადად, რა რისკებთანაა დაკავშირებული თავდებობის ხელშეკრულების დადება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი.
2. გ.რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2018 წელი.
3. ქ.მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020 წელი.
4. ზ.ძლიერიშვილი, გ.ცერცვაძე, ი.რობაქიძე, გ.სვანაძე, ლ.ცერცვაძე, ლ.ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014 წელი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
5. ზ.ჭეჭელაშვილი, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010 წელი.
6. ლ.ჯანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012 წელი, გამომცემლობა „სამართალი“.
7. დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 წელი.
8. დ.კერესელიძე, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, უურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-1.
9. იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: თ. ჯგერენაია, ზ.ჭეჭელაშვილი, თბილისი, 2014 წელი.
10. გ.რუსიაშვილი/ნ.ქავშაია, თავდებობის ხელმეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის უურნალი 2/2020.
11. გ.ამირანაშვილი, გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018 წელი.
12. ლ.ჯანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წელი, გამომცემლობა „სამართალი“.
13. რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014 წელი, გამომცემლობა „სამართალი“.
14. ზ.ჭეჭელაშვილი, სახელმეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძვლებზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020 წელი.

15. შ.ქურდაძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, თბილისი, 2017 წელი.
16. ა.ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, (2000-20213), 2014 წელი.
17. ი.რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014 წელი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
18. ნ.ლიპარტია, სადისერტაციო თემა: საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2018 წელი.
19. ნ.სვანაძე, თავდებობა როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი“, #1-2, 2004 წელი.
20. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, მთარგმნელი ზ.ჭეჭელაშვილი, თბილისი, 2019 წელი.
21. Mel Kenny, exploring the Uncommon core, comparative analysis of Surety agreement across Europe, Bremen, 2009.
22. German Civil Law Code-BGB.

## ვებ-გვერდები:

1. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
2. [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)
3. [www.tbappeal.court.ge](http://www.tbappeal.court.ge)
4. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)
5. [www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)

## სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის საქმე #ას-3კ-432-02
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე #2ბ-3694-18

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-1153-1108-2016
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #3კ-815-01
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #2ბ/3772-14
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი #71776/12).



~









